# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 26 თებერვალი, 2011 წელი.

№38 (6650)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




## თამაზ ჭილაძის „საკუთარი დრო“

ყვირომალი საკითხავი

6-7

## ამუშავდება „პარტიების გადაგდების“ მექანიზმი?



## დასავლეთისგან რუსეთი ამ პრინციპს შეეჩვია

3

## როგორც ახალმა ლიდერმა, სააკაშვილმა ისტორიული შანსი გაუშვა ხელიდან...

2

## სახელმწიფო ბანკების მოგების წილში ზის

5





## „საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში რევოლუციები ბუშის ადმინისტრაციის მიერ იყო კულტივირებული“

IRI

3

## დანიელ გუფთა მალე მთელ თბილისსაც იყიდის

4

### ფრაზა კვირის ამბრაზურიდან

დავით კიკალიშვილი, „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტი:

— მუბარაქი გადადგა და ეგვიპტელი ხალხი ისე ზეიმობს, თითქოს მსოფლიოს ჩემპიონატი მოეგოს ფეხბურთში



## პოლიტიკური პარტია „მთლიანი საქართველო“ ქვეყნის უშიშროების საბჭოს მოუწოდებს, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის პროექტი საჯარო გახადოს!

2

⊙ გულახდილი დიალოგი

**ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამდელო, ამორძალი ხარ — მკერდმოჭრილი უსაქართველოდ.**

შოთა ნიშნიანიძე

**ბოლო დროს უცხოეთში საქართველოს კონფლიქტების დარეგულირებასთან დაკავშირებით სარეკომენდაციო ხასიათის არაერთი ნაშრომი შეიქმნა. პარალელურად რუსულ პრესაში ჩნდება მასალები კრემლში რამდენიმე ალტერნატიული გეგმის განხილვის შესახებ, საქართველოს ხელისუფლება კი ამ საკითხების კომენტირებისას აცხადებს, რომ კონფლიქტური რეგიონების მიმართ შემუშავებული სახელმწიფო სტრატეგიის შეცვლას არ აპირებს. კონფლიქტების მოგვარების ხედვებსა და პერსპექტივებზე „პირველი" სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილ ხელმძღვანელს (2001), სახელმწიფო უშიშროების მინისტრის ყოფილ I მოადგილეს (2002), თავდაცვის მინისტრის ყოფილ I მოადგილეს (2004), აფხაზეთის ა/რ დე იურე მთავრობის ყოფილ თავმჯდომარეს (2004-2006), პრეზიდენტის ყოფილ პირად წარმომადგენელს ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებზე (2005-2008), პრეზიდენტის პირად მრჩეველს კონფლიქტების მოგვარების საკითხებში (2005-2006), გაეროში საქართველოს ყოფილ ელჩს (2006-2008 დეკემბრამდე), ამჟამად „თავისუფალი დემოკრატების" ლიდერს ირაკლი ალასანიას ესაუბრა.**



# როგორც ახალმა ლიდერმა, სააკაშვილმა ისტორიული შანსი გაუშვა ხელიდან...

**— ბატონო ირაკლი, თავის დროზე აფხაზურ მხარესთან კონფლიქტის დარეგულირების მიზნით მოლაპარაკებებს პირადად აწარმოებდით. რაში მდგომარეობდა თქვენი ხედვა იმ დროს და რა პოზიციები ეკავა ამ ხედვასთან დაკავშირებით აფხაზურ მხარეს?**

— აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკებები 2005 წელს დაიწყო. მანამდე მოლაპარაკებათა პროცესი პრაქტიკულად შეჩერებული იყო, რაც საქართველოსა და დე ფაქტო ხელისუფლებების ცვლილებას უკავშირდებოდა. ვთვლიდი და დღესაც ვთვლი, რომ ამ პერიოდამდე ქართული მხარის მიდგომა კონფლიქტის დარეგულირებისადმი აბსოლუტურად მცდარი იყო. კერძოდ, საქართველოს ხელისუფლებამ ამოცანად აფხაზური მხარის საერთაშორისო იზოლაცია დაისახა, რითაც თავად უბიძგა აფხაზებს, რუსეთთან ბევრად უფრო ინტეგრაციული პროცესები წარემართათ და სხვა ალტერნატივა უბრალოდ არ დაუტოვა. აფხაზებთან განახლებულ მოლაპარაკებებში მთავარ ამოცანად სწორედ ამ რეალობის შეცვლა დავისახე. შესაბამისად, აღდგენილი მოლაპარაკებების პროცესში მეც და ჩემმა პარტნიორებმაც მეორე მხრიდან ახალი ტაქტიკა ავირჩიეთ. ბუნებრივია, შინაარსობრივი მოლაპარაკებებისთვის ნდობის აღდგენის კუთხით დავიწყეთ მუშაობა. მინდა, გითხრათ, რომ იმ დროს ნდობის აღდგენა სრულიად შესაძლებელი იყო, რადგან საქართველოს ჰყავდა ახალი ლიდერი, რომელსაც 1992 წლის ომში ხელი გასვრილი არ ჰქონდა, იყო დასავლური ორიენტაციის, ღირებულებების და ა.შ. შესაბამისად, აფხაზურ მხარეს მაშინ გარკვეულწილად მოლოდინი ჰქონდა იმისა, რომ სააკაშვილის ადმინისტრაცია ალტერნატივას შესთავაზებდა. სწორედ ამიტომ ვამბობ ხოლმე, რომ სააკაშვილმა ისტორიული შანსი გაუშვა ხელიდან, როდესაც ეს მოლაპარაკებები ჩააგდო.



აფხაზურ მხარეს ვთავაზობდით, პირველ რიგში,საომარი მოქმედებების განახლების საფრთხე მოხსნილიყო. გარდა ამისა, ჩვენი ინტერესი იყო, დეკლარაციაში და შეთანხმებაში დევნილების დაბრუნების უფლება დაგვეფიქსირებინა. პირადად ვმუშაობდი შამბასთან და სხვა პოლიტიკურ ლიდერებთან, მათ შორის — ბაღაფშთანაც. შევქმენით დოკუმენტი, რომელსაც „ქართულ-აფხაზური მხარეების დეკლარაცია" დავარქვით. ვთანხმდებოდით, რომ საბრძოლო მოქმედებები არ განახლდებოდა, აფხაზური მხარე კი დევნილთა დაბრუნებისა და საკუთრების უფლებას აღიარებდა. ამასთან, საერთაშორისო უსაფრთხოების გარანტიებზე გვქონდა საუბარი. ეს დოკუმენტი პრაქტიკულად, პარაფირებული იყო, მაგრამ 2005 წლის დეკემბერში გაირკვა, რომ არ არსებობდა პოლიტიკური ნება, რათა სააკაშვილს ამ დოკუმენტისთვის ხელი მოეწერა მიუხედავად იმისა, რომ ამ დოკუმენტის მიღებისკენ თითოეული ნაბიჯი სააკაშვილთან და საქართველოს სხვა პოლიტიკურ ლიდერებთან იყო შეთანხმებული. ჩემი აზრით, ეს იყო პირველი ისტორიული შანსი აფხაზურ მხარესთან ნდობაზე დამყარებული ურთიერთობების აღდგენისა, რომელიც ქართულმა მხარემ ხელიდან გაუშვა.

თუმცა იყო სხვა მცდელობებიც, მათ შორის ბოლო — უკვე 2008 წლის მაისში, როდესაც ბაღაფშს სოხუმში პირადად ველაპარაკე. ჩვენ ძველ შეთანხმებას დავუბრუნდით და ახალი რეალობის გათვალისწინებით, მასში შესწორებები შევიტანეთ. აფხაზური მხრიდან ამ დოკუმენტის ხელმოწერის მზადყოფნა ისევ არსებობდა. ვფიქრობ, ასე რომ მომხდარიყო, საგრძნობლად შევზღუდავდით რუსეთის შესაძლებლობას, საქართველო პროვოკაციულ ომში ჩაერთო.

იხ. 4 გვ.

⊙ პარტიებსა და მოძრაობებში

## პოლიტიკური პარტია „მთლიანი საქართველოს" მიმართვა ეროვნული უშიშროების საბჭოს

**2011 წლის 18 თებერვალს საქართველოს უშიშროების საბჭომ პარლამენტში განსახილველად წარადგინა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის პროექტი. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დოკუმენტია და ეხება სახელმწიფოსა და საზოგადოების სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესებს. ამიტომ მის შემუშავებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ როგორც პოლიტიკურმა სუბიექტებმა, ასევე მეცნიერებმა, ექსპერტებმა და სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა. წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს იმის საშიშროება, რომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავება მოხდეს მხოლოდ ერთი მიმართულებისა და შეხედულების მქონე პირთა ჯგუფის მიერ.**

**პოლიტიკური პარტია „მთლიანი საქართველო" საქართველოს უშიშროების საბჭოს მოუწოდებს: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის პროექტი გამოქვეყნდეს პრესაში და იგი ხელმისაწვდომი გახდეს არა მხოლოდ პარლამენტის წევრთათვის, არამედ საზოგადოების ყველა ფენის და დაინტერესებულ პირთათვისაც, ასევე უზრუნველყოს მისი ფართომასშტაბიანი განხილვა.**

პოლიტიკური პარტია
„მთლიანი საქართველო"

⊙ ტრანსპორტი

# დედაქალაქელმა მძღოლებმა პირი შეკრეს და გაიფიცნენ...

**დედაქალაქში მოძრავი თითქმის ყველა მიკროავტობუსის მძღოლი გაიფიცა. ისინი რესპუბლიკის მოედანზე შეიკრიბნენ. როგორც ცნობილია, მიკროავტობუსის მძღოლები თბილისის მერიის მიერ ჩატარებულ შესაბამის ტენდერს აპროტესტებენ, რომელშიც მათი განცხადებით, „ერთი კვირის დარეგისტრირებულმა კომპანიამ" გაიმარჯვა.**

— ჩვენთვის სრულიად გაუგებარი და მიუღებელია ყველა ის პროცედურა, რითაც ტენდერი ჩატარდა, —აცხადებენ მძღოლები.

ამასთან, ისინი მოითხოვენ მათთან გაფორმდეს კონტრაქტი და როგორც ეს ე.წ. ყვითელი ავტობუსების შემთხვევაში ხდება, თვითღირებულების საწვავი უფასოდ მათაც მიიღონ.

— წინააღმდეგ შემთხვევაში, მოხდება მგზავრობის საფასურის გაზრდა, რაც ჩვენ ნამდვილად არ გვსურს. ჯერ ერთი, რომ ამით ისედაც გაჭირვებული ადამიანები უფრო ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან და მეორეც, ამით ჩვენ კლიენტურას დავკარგავთ, რადგან ისინი უპირატესობას სხვა, იმ სახის ტრანსპორტს მიანიჭებენ, რომლითაც მგზავრობაც შედარებით იაფი იქნება, — აცხადებენ მძღოლები.

რესპუბლიკის მოედანზე 200-მდე მძღოლი იყო შეკრებილი. აქცია-გაფიცვის ორგანიზატორი კახა კუკავას „თავისუფალი საქართველოა".

* * *

**კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ლაშა ჩხარტიშვილმა განაცხადა, რომ მძღოლების გაფიცვა სამი დღე გაგრძელდება. მისი თქმით, შეიქმნება საგაფიცვო კომიტეტი, რომლის წევრებიც იქნებიან თბილისში არსებული ყველა სამარშრუტო ხაზის წარმომადგენლები. ასევე ორშაბათს იგეგმება აცქია და ეს აქციები გაგრძელდება იქამდე, ვიდრე მძღოლებს თავიანთ მოთხოვნებს არ დაუკმაყოფილებენ.**

„პრობლემის მოგვარების ერთადერთი გზა არის ის, რომ სააკაშვილმა, უგულავამ და მათმა თანამზრახველებმა უარი თქვან იმ ტენდერზე, რომელიც ჩატარდა. ამ ტენდერის შემდეგ მშიერი რჩება დაახლოებით 20 ათასი ოჯახი. მოვუწოდებთ ყველა ტაქსის მძღოლს, ასევე ავტობუსების მძღოლებსაც შემოუერთდნენ გაფიცვას. განსაკუთრებით ტაქსის მძღოლებს, რადგან უახლოეს მომავალში ხელისუფლება მათაც ცუდ მდგომარეობაში ჩააყენებს", — განაცხადა რესპუბლიკის მოედანზე მიმდინარე მძღოლების საპროტესტო აქციის დროს ლაშა ჩხარტიშვილმა.




* * *

**— სამარშრუტო ტაქსების მძღოლებს არანაირი ფიქსირებული და ზეგანაკვეთური გადასახადის გადახდა არ მოუწევთ, — ამის შესახებ თბილისის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა აკაკი ჯოხაძემ განაცხადა.**

მისი თქმით, ამ საკითხის შესახებ სამარშრუტო ტაქსების მძღოლებს უკვე ესაუბრა და ისინი დაარწმუნა, რომ ზედმეტი თანხის გადახდა არ მოუწევთ.

— მძღოლები დეზინფორმირებული იყვნენ. ზოგიერთები მათ არწმუნებდნენ, თითქოს ზედმეტი თანხის გადახდა ევალებოდათ, რაც სიმართლე არაა, — აცხადებს აკაკი ჯოხაძე.

ჯი-ეიჩ-ენი

IRI-ის აღიარება

# „საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში რევოლუციები ბუშის ადმინისტრაციის მიერ იყო კულტივირებული“

**აშშ-ის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) ხელმძღვანელი ლორნ კრეინერი აზერბაიჯანს იმ ქვეყნების რიცხვში ასახელებს, რომლებიც შესაძლოა, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებმა დააზარალოს.**

**„ახლო აღმოსავლეთის მოვლენებიდან დასკვნები ყველა ქვეყანამ უნდა გამოიტანოს. ტუნისის მოვლენებმა ბევრი გააოცა. იქ ეკონომიკური მოდერნიზაცია ძირითადში ქალაქებს შეეხო, თუმცა მას პოლიტიკური რეპრესიები და კორუფციის გაძლიერება ერთვოდა თან. ეს სიტუაცია გასაღები და მინიშნებაა იმ ქვეყნებისთვის, სადაც ანალოგიური პრობლემები არსებობს, მაგალი-**



**თად — ყაზახეთისა და ჩინეთისთვის, ან ავტოკრატიული მმართველობის ქვეყნებისთვის, როგორიცაა აზერბაიჯანი და ვენესუელა“,** — განაცხადა კრეინერმა „Contact.az“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ამასთან, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ **„ტუნისში მოვლენები ხელისუფლების უსამართლობისა და მოქალაქეთა უფლებების უპატივცემულობის მიმართ მოსახლეობის პროტესტის სახით დაიწყო და არა როგორც რევოლუცია დემოკრატიისთვის“.**

**„სწორედ უსამართლობის გრძნობამ მისცა ბიძგი ფართო მასების პროტესტს და პოლიტიკური სისტემის ცვლილების მოთხოვნას“,** — განმარტავს კრეინერი.

ამ კონტექსტში იგი ყირგიზეთის გასული წლის აპრილის მოვლენებსაც იხსენებს და ირწმუნება, რომ „აშშ-ს იქაურ ოპოზიციასთან კავშირი არ ჰქონია“.

**„მეტიც, ხელისუფლებაში მოსულთა ნაწილი ჩიოდა, რომ აშშ-ის საელჩო ბიშკეკში მათ რამდენიმე თვის თუ წლის განმავლობაში არ ხვდებოდა. ამ პოლიტიკის შედეგად ვაშინგტონი შიშობდა, რომ ახალი ხელისუფლება ავღანეთის ოპერაციისთვის ძალზე მნიშვნელოვანი ავიაბაზა „მანასიდან“ აშშ-ის განდევნას გადაწყვეტდა, თუმცა საბედნიეროდ, ამერიკულმა მხარემ ახალი ხელისუფლების საკითხისადმი კონსტრუქციული მიდგომის აუცილებლობაში დაარწმუნა“,** — აღნიშნა კრეინერმა.

მისივე თქმით, „პრაგმატიკოსები საზღვარგარეთის ქვეყნებთან ამერიკის ურთიერთობაში სტაბილურობის პრიორიტეტს აღნიშნავენ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ აშშ-ს რიგი საკითხების იგნორირება უწევს, თუმცა ერაყის შემდეგ ამ მიდგომამ სერიოზული კრიტიკა მიიღო“.

**„სამწუხაროდ, ავტორიტარულ ხელისუფლებებთან მჭიდრო კავშირი აშშ-ის ინტერესებს არ ემსახურება. ამიტომ მნიშვნელოვანია, ავტორიტარულ ხელისუფლებებთან ურთიერთობების შენარჩუნების პარალელურად აუცილებლად დაიგეგმოს ის დღე, როდესაც მათ ჩამოგდებას შეძლებენ და მათი დახმარება, ვინც შეიძლება, ეს ხელისუფლებები შეცვალოს. ჩვენ მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ ცალკეულ პიროვნებებს და იმ ინსტიტუტებს, რომლებიც სამომავლოდ გარდამავალი პროცესის ნაკლებ მტკივნეულობას უზრუნველყოფენ. ეს დაზღვევის ერთგვარი ფორმაა გრძელვადიან პერსპექტივაში ამერიკული ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად“,** — თვლის კრეინერი.

ახლო აღმოსავლეთის მოვლენების შედეგებზე საუბრისას მან გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს რეგიონზე მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს.

**„როდესაც დემოკრატია მყარდება იმ ქვეყნებში, რომლებიც მას პირველად განიცდიან, შედეგები ყოველთვის არაპროგნოზირებადია, სამომავლო პარამეტრები კი — ძნელად განსასაზღვრი. მე მუდმივად იმედგაცრუებული ვიყავი იმის გამო, რომ ჯორჯ ბუში 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ პაკისტანში პოლიტიკური პარტიების განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობას იგნორირებას უწევდა. როგორც კი მუშარაფის ხელისუფლებამ ჩამოშლა დაიწყო, აღმოჩნდა, რომ შეუძლებელია იმის განსაზღვრა, ვინ შეიძლება, გახდეს მისი მემკვიდრე, რომელიც საზოგადოებასთან ურთიერთობას დაამყარებს და ამერიკული ინტერესების ხელშეწყობას უზრუნველყოფს. თუმცა აშშ-ის ადმინისტრაციამ აქედან დასკვნები გამოიტანა: საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში, მაგალითად, ბუშის ადმინისტრაცია მონდომებით ზრდიდა ახალი თაობის ლიდერებს, რომლებიც ავტორიტარული რეჟიმების შესაცვლელად მზად იქნებოდნენ“,** — დასძინა კრეინერმა.

**მაკა ბრეგვაძე,**
**„პირველი“**

გეოპოლიტიკური პრეტენზიები

***დასავლეთსა და რუსეთს შორის გაუმჯობესებული ურთიერთობების მიზეზებსა და თავისებურებებზე, თავად რუსეთში მიმდინარე პროცესებსა და მოვლენათა განვითარების სავარაუდო სცენარებზე, „ინტერპრესინიუსი“ ფილოსოფოს ზაზა ფირალიშვილს ესაუბრა.***



**— ბატონო ზაზა, თქვენი მოსაზრება, რომ დასავლეთი რუსეთს არაადეკვატურად აფასებს, სულ უფრო აშკარა ხდება. აშშ და ევროპა რუსეთის არადემოკრატიულობას ყურადღებას აღარ აქცევენ და თანასწორ პარტნიორად მიიჩნევენ ქვეყანას, რომელმაც 2008 წლის აგვისტოში საერთაშორისო სამართლის 10-ვე ფუძემდებლური პრინციპი დაარღვია. სულ უფრო ნათელი ხდება, რომ რუსეთი საერთაშორისო ასპარეზზე პოზიციებს იბრუნებს. ევროსტრუქტურების პოსტსაბჭოთა სივრცეში უმოქმედობა რუსეთს იმავე სივრცეში მეტი მანევრირების საშუალებას აძლევს. ვაშინგტონი და ბრიუსელი კი აცხადებენ, რომ არ დაუშვებენ მსოფლიოს გავლენის სფეროებად დაყოფას, მაგრამ რეალურად, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, პოსტსაბჭოთა სივრცეს სწორედაც რომ რუსეთის გავლენის სფეროდ აღიარებენ. ასეთ ვითარებაში, უპრიანია ვიკითხოთ, — რა ხდება თანამედროვე მსოფლიოში და რამდენად რეალურია პოსტსაბჭოთა სივრცეზე რუსეთის კონტროლის აღდგენა?**

— თქვენს ჩამონათვალს კიდევ დავუმატებდი რუსულ ხელისუფლებასთან დაახლოებული პირების მიერ გამოცხადებულ იდეოლოგიურ ომს დასავლეთის წინააღმდეგ, მესამე რომის გაცოცხლებას, როგორც საერთო რუსული მესიანისტური იდეისა, ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ექსტრემისტული ნაციონალიზმის ცუდად შეფარულ მხარდაჭერას და ასე შემდეგ.

დასავლეთი მსოფლიო ლიბერალური რევოლუციისა და ისტორიის დასასრულის კატეგორიებში აზროვნებს. იქ გაჩნდა ილუზია, თითქოს ლიბერალიზმის სახით მიაგნეს უნივერსალურ იდეოლოგიას, რომელსაც ყველა შესაძლო წინააღმდეგობის შერიგება შეუძლია. ამიტომაც ხშირად ცუდად ესმით, თუ რა ხდება არადასავლური კულტურული ტრადიციების ქვეყნებში, რომელთაც ისტორია „არ დაუსრულებიათ“, არ ესმით ის ირაციონალური მომენტი, რომელიც ამ უკანასკნელებისთვის ხშირად გადამწყვეტია ხოლმე და ყოველგვარ მოძრაობას აღმოსავლურ თუ სამხრეთულ სამყაროებში დემოკრატიის ნაკლებობით და ეკონომიკური სიდუხჭირით ხსნიან.

რაც დღეს რუსეთში ხდება, წარმოადგენს განცხადებას იმის შესახებ, რომ რუსული სულიერება საკუთარ თავს ჯერაც არ განიცდის ამოწურულად და მესამე რომის, მე ვიტყოდი, თეოლოგიურად და ისტორიულად გაუგებარი იდეის რეანიმაცია ამის თვალსაჩინო ნიმუშია. ეკონომიკური კატეგორიებით ამისი ახსნა შეუძლებელია. რუსეთისთვის ამგვარი ახსნა მეტად ხელსაყრელ ვითარებას ქმნის. რუსული პოლიტიკა დღესაც ოსტატურად სარგებლობს დასავლური პოლიტიკური აზრის ამ სისუსტით და ლიბერალურ დაპირებათა ფონზე კვლავ თავის გეოპოლიტიკურ პრეტენზიებს აყენებს. დასავლეთი ისევ და ისევ დასახელებული კატეგორიებით აფასებს რუსულ მოვლენებს. ამას ემატება ფარული თუ ე.წ. თეთრსაყელოიანი კორუფციაც დასავლური პოლიტიკის მაღალ ეშელონებში, რომელიც დაინტერესებულია კიდეც, რომ თვალი დახუჭოს რუსეთში მიმდინარე პროცესებზე. თვალს ხუჭავს დასავლელი ობივატელიც, რომელიც ძნელად დათმობს თავის კომფორტს. ამიტომაც ვადევნებთ თვალს, თუ როგორ გაჩნდა დასავლეთში 2008 წლის შემდეგ რუსეთის დაშოშმინების მანკიერი პოლიტიკა და, ღმერთმა არ ქნას, თითო-თითო ბარტყის გადაგდების შემსწრეც გავხდეთ. როგორც ჩანს, რუსმა ანალიტიკოსებმა კარგად გათვალეს დაწოლის ის ხარისხი, რომელსაც დასავლეთის გაჭიანურებული დათმობები მოჰყვება.

ჩვენს ხელისუფალთ უნდა გაეთვალათ ამგვარი შესაძლებლობა და 2008 წელს მომენტალური „გენიალური შთაგონებისა“ თუ „გონივრული ანალიზის“ ილუზიების საფუძველზე არ უნდა მოემოქმედათ, რაც მოიმოქმედეს. ასეთი ინფანტილიზმი დაუსჯელი არ რჩება. საიმისოდ, რომ პატარა ქვეყანამ დიდი გეოპოლიტიკური აქტორების ფარული დაპირისპირება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს, აგრესიულ რევოლუციურ ინფანტილიზმზე მეტია საჭირო.

**ამუშავდება „ბარტყების გადაგდების“ მექანიზმი?**

**საბედნიეროდ, არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომელიც ჯერჯერობით ხელს უშლის „ბარტყების გადაგდების“ მექანიზმის ამუშავებას. ესენი არიან აღმოსავლეთევროპული ქვეყნები, რომელთა პოლიტიკურ ისტებლიშმენტსაც რუსეთთან ურთიერთობის საკმაოდ ხანგრძლივი გამოცდილება აქვს და, რომლის მოტყუებაც ცუდი პუტინისა და რეფორმატორი მედვედევის ტანდემის შექმნით შეუძლებელია. ყოფილი საბჭოთა ქვეყნები აიძულებენ დასავლეთს, უფრო ფხიზლად უცქირონ რუსეთის გეოპოლიტიკურ თამაშებს. მაგრამ, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ის უარყოფითი ფონი, რომელიც 2008 წლის ომმა შექმნა. ფაქტია, რომ ამ ომის შემდეგ დასავლეთი შეუდარებლად უფრო ფრთხილი გახდა რუსეთის მიმართ.**

შედარებით შორეულ პერსპექტივაში კი, არ არის გამორიცხული, ზუსტად ისევე, როგორც დევიდ კამერონმა და ნიკოლა სარკოზიმ ხმამაღლა განაცხადეს მულტიკულტურალიზმის იდეოლოგიის კრახის შესახებ, დადგეს მომენტი, როდესაც დასავლელი ლიდერები რუსეთთან მიმართებაში ლიბერალიზმის ექსპორტის სტრატეგიის მარცხს აღიარებენ. ისლამურ სამყაროში ამგვარი ექსპორტის შეუძლებლობაზე სულ მცირე ხნის წინათ უკვე ბევრს ლაპარაკობდნენ, თუმცა ტუნისისა და ეგვიპტის მოვლენებმა სკეპტიკოსები გააჩუმა. ვფიქრობ, ეს დროებითია, რადგან მუბარაქის გადადგომის შემდეგ ეგვიპტეში ერთადერთი რეალური იდეოლოგიური ძალა, რომელსაც პროცესებში თუნდაც ნეგატიური გარკვეულობის შეტანა შეუძლია, ამ ეტაპზე მხოლოდ „მუსლიმთა საძმოა“. ეგვიპტელი ქრისტიანები უკვე ჩივიან, რომ მათი დევნა, რომელიც რევოლუციამდე შეინიშნებოდა, რევოლუციის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა.

**— არავინ დავობს, რომ რუსეთი ანგარიშგასაწევი ქვეყანაა. ევროპა და ამერიკა რუსეთის რესურსებით არიან დაინტერესებული, მაგრამ ვითარებაში, როცა რუსეთი სისტემური პოლიტიკური ცვლილებების გატარებას არც აპირებს და დასავლეთისვე დახმარებით ცდილობს ტექნოლოგიებისა და ინვესტიციების მიღებას, რატომ არავინ ფიქრობს დასავლეთში, რომ კრემლის სცენარით მოდერნიზირებული რუსეთი მსოფლიოსთვის უფრო საშიში იქნება? და კიდევ, რამდენად სარწმუნოა გავრცელებული აზრი, რომ დასავლეთი რუსეთს მხოლოდ გარკვეული პირობებით დაეხმარება?**

— გარდა ენერგორესურსებისა, არსებობს ისლამური ტერორიზმის საფრთხეც და დასავლეთი რუსეთს ამ კონტექსტშიც მოკავშირედ განიხილავს. ეს ორი ფაქტორია, რომელიც დასავლეთის ბევრ მოღვაწეს რუსეთის მოდერნიზაციის შესაძლებლობის ილუზიას უჩენს. რუსეთიც სარგებლობს ამით. ამასთან, ჰაერშია გამოკიდებული კითხვა, თუ რა როლი მიუძღვის რუსეთს კავკასიაში ისლამური ტერორიზმის გაძლიერების საქმეში. ჩვენს თვალწინ რუსეთმა შეძლო და დასავლეთის ყურადღება გაანელა ჩეჩნური პროცესების მიმართ. ცხადია, არსებობს სერიოზული ვარაუდი, რომ რუსულმა სპეცსამსახურებმა თავად იზრუნეს ჩეჩნური მოძრაობის ისლამიზაციაზე. სრულიად ცხადია, რომ ვიდრე ჩეჩნური მოძრაობა შედარებით თავისუფალი იყო ისლამური მდგენელისგან და უპირატესად ნაციონალური მოძრაობის ხასიათს ატარებდა, იგი გაგებითა და თანაგრძნობით სარგებლობდა. საკმარისი გახდა ისლამური ფაქტორის გაძლიერება და ისლამური ტერორიზმის მანქანის ამუშავება, რომ დასავლეთი დღეს მხოლოდ მოვალეობის მოხდის გამო თუ იღებს ხმას და ისიც ადამიანის უფლებათა ცალკეულ დარღვევებზე. რუსმა სტრატეგოსებმა კარგად იციან, როგორი შეფუთვით უნდა მიართვან დასავლეთს ესა თუ ის პრობლემა. როგორც კი ჩეჩნურმა ომმა საერთოკავკასიური რელიგიური ტერორიზმის განზომილებები შეიძინა, დასავლეთმა უკან დაიხია. არსებითად, ჩვენს მიმართაც იმავეს გაკეთებას ცდილობდნენ და ცდილობენ რუსები, როდესაც ხანგამოშვებით ტერორისტების მხარდაჭერაში გვდებენ ბრალს.

ენერგორესურსები და ისლამური ტერორიზმის საფრთხე იმგვარი ფაქტორებია, რომლებმაც რუსული პოლიტიკური ცხოვრების სისტემური რეფორმირების პრობლემა უკანა პლანზე შეიძლება გადასწიოს, ბევრ რამეზე თვალის დახუჭვისაკენ გიბიძგოს, მით უმეტეს, რომ რუსული ოპოზიცია, რომელიც მსგავს რეფორმებს მოითხოვს, ზედმეტად სუსტია. მე დღეს დასავლეთში ვერ ვხედავ რონალდ რეიგანის ან უფროსი ჯორჯ ბუშის მსგავს ლიდერს, რომელიც რუსეთის მოდერნიზაციას მკაცრად განსაზღვრული პირობებით შეუწყობდა ხელს. გარკვეულ პირობებს, ალბათ უყენებენ, მაგრამ ეს სრულიად არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ რუსული ნეოიმპერიალისტური რევანშიზმის აღმასვლა შეაჩერონ. პროცესები ჯერჯერობით რუსული სცენარით ვითარდება.

იხ. 5 გვ.

გულახდილი დიალოგი

(მეორე გვერდიდან)

**— კონკრეტულად რაში მდგომარეობდა შესწორებები ახალი რეალობის გათვალისწინებით?**

— პირველ რიგში, უფრო დაკონკრეტებული იყო კოდორის თემა. მაშინ კოდორში ქართული პოლიციური სტრუქტურები იყო კონცენტრირებული, რაც აფხაზური მხარის შეშფოთებას იწვევდა, რუსეთის მხრიდან კი დაფიქსირდა ტენდენციები, სოხუმში შეიარაღებული ძალების კონტინგენტი, მათ შორის მოიერიშე ბრიგადა გაეზარდა, ანუ არსებობდა საფრთხე, რუსებს კოდორში პროვოკაცია დაეწყოთ. ამიტომ კონცენტრირებული ვიყავით კოდორზე და შევთანხმდით, რომ მიგვეღო ახალი დეკლარაცია კოდორის ხეობაში ძალთა დაშორიშორების შესახებ, რასაც გაეროს მონიტორინგი დაერთვებოდა თან.

კიდევ ერთი ჩასწორების მიხედვით, გალსა და ოჩამჩირეში კონფლიქტური სიტუაციების პრევენციისთვის კონკრეტული მექანიზმები უნდა შეგვექმნა, რაშიც სამართალდამცველი სტრუქტურების უფრო კოორდინირებულად მუშაობა იგულისხმებოდა.

დოკუმენტის პირველად ვარიანტში დსთ-ის კოლექტიური ძალები იყო ნახსენები, რომელსაც გაეროსთან ერთად ამ შეთანხმების შესრულება უნდა უზრუნველეყოთ. სააკაშვილმა დოკუმენტის ხელმოწერაზე უარი თითქოს დსთ-ის ძალების ფიგურირების გამო თქვა, რაც აბსურდული იყო, რადგან ეს ძალები იქ დე ფაქტოდ არსებობდნენ და მათი იგნორირება არაფერს გვაძლევდა. მიუხედავად ამისა, დოკუმენტის ახალი ვარიანტიდან დსთ-ის ძალებთან დაკავშირებული პუნქტი ამოვიღეთ და დავტოვეთ ზოგადი ფორმულირება საერთაშორისო მექანიზმების თაობაზე, რაც ორივე მხარეს ინტერპრეტაციის საშუალებას უტოვებდა. ასე რომ, მოიძებნა ფორმულა, რომელიც ორივე მხარისთვის მისაღები იყო. მიუხედავად ამისა და ჩემთვის პირადად მოცემული დაპირებისა, სააკაშვილმა ამ დოკუმენტს ხელი არ მოაწერა.

**— თქვენი აზრით, რა გახდა ამის მიზეზი?**

— ეს მას უნდა ჰკითხოთ. როდესაც ქვეყანას ასეთ ისტორიულ შანსს ართმევ, რომელიც მას შენი პრეზიდენტობის დროს მიეცა, ეს დანაშაულია. პირადად ჩემი აზრით, მას არც პოლიტიკური ნება ჰქონდა, არც მოლაპარაკებების პროცესის სჯეროდა. მისი ყოველი შემდგომი ნაბიჯი მეტყველებდა იმაზე, რომ კონფლიქტის დარეგულირების დინამიკაში სამხედრო რიტორიკა შემოჰქონდა, რაც მოლაპარაკებების პროცესს აფერხებდა. მე მივხვდი, რომ ყველა ჩემი მცდელობა, რის საშუალებასაც სააკაშვილი მოლაპარაკებების პროცესში მაძლევდა, მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოების თვალის ასახვევად იყო გამიზნული. არადა, დარწმუნებული ვარ, რომ ადრე თუ გვიან, პოსტსააკაშვილისეულ ეპოქაში ჩვენ ისევ ამ გზით მოგვიწევს სიარული.

ამასთან, ვიდრე ჩვენ აფხაზეთში შევაღწევთ, აუცილებელია, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის აფხაზეთის კარი გავაღოთ, რათა იქ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას რეალურად შეეწყოს ხელი.

რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლების დღევანდელ ხედვას, კერძოდ, ოკუპირებულ ტერიტორიებთან სახელმწიფო სტრატეგიას, ჩემი აზრით, იგი არ ითვალისწინებს მთავარს — აფხაზური საზოგადოების დეიზოლაციას, რის გამოც იგი წარუმატებლობისთვის არის განწირული. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ აფხაზეთში საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მასშტაბური შეღწევა აუცილებელია.

# როგორც ახალმა ლიდერმა, სააკაშვილმა ისტორიული შანსი გაუშვა ხელიდან...

ჩემი ხედვა დღეს ასეთია: აფხაზებთან ვერასდროს შევთანხმდებით იმაზე, ვინ არის დამნაშავე კონფლიქტის დაწყებაში; ჩვენ — ჩვენი, აფხაზებს კი თავისი სიმართლე აქვთ. რეალურად, აქ საკმარისზე მეტი ბრალი იკვეთება, რომელიც ჩვენც, აფხაზებსაც და რუსებსაც მიგვიძღვის. ჩემი აზრით, პირველ რიგში, უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ სისხლისღვრა აღარ დავუშვათ, რათა ჩვენი შვილები არ ჩავაგდოთ იმ დღეში, რომელშიც ჩვენ ჩავცვივდით. მეორე აუცილებელი საქმეა, მოქალაქეებს თავისუფალი ურთიერთობების უფლება მივცეთ. ორივე ამ საკითხზე კონსენსუსის მიღწევა შეიძლება და ამის რესურსს აფხაზებშიც და ქართველებშიც ვხედავ. ვთვლი, რომ ეს ყველაფერი ცხინვალთან მიმართებაშიც შესაძლებელია, თუმცა ვინაიდან ამ რეგიონთან შეხება არ მქონია, ამ საკითხზე კონკრეტულად ვერ ვისაუბრებ.



*ჩემი ხედვა დღეს ასეთია: აფხაზებთან ვერასდროს შევთანხმდებით იმაზე, ვინ არის დამნაშავე კონფლიქტის დაწყებაში; ჩვენ — ჩვენი, აფხაზებს კი თავისი სიმართლე აქვთ.*
*ჩემი აზრით, პირველ რიგში, უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ სისხლისღვრა აღარ დავუშვათ, რათა ჩვენი შვილები არ ჩავაგდოთ იმ დღეში, რომელშიც ჩვენ ჩავცვივდით.*

დარწმუნებული ვარ, პოსტსააკაშვილის პერიოდში, ბევრად უფრო განვითარებული დემოკრატიული ინსტიტუტების მქონე, ეკონომიკურად წინწასული და ევროპული ინტეგრაციის გზაზე მყარად მდგომი საქართველო აფხაზური საზოგადოებისთვის ბევრად უფრო მომხიბვლელი და საინტერესო იქნება, ვიდრე რუსეთის ფედერაციის სამხედრო ოკუპაციის ქვეშ ყოფნა.

**— დღეს რომ ხელისუფლებაში იყოთ, რა კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამდით კონფლიქტის დარეგულირების მიმართულებით?**

— პირველ რიგში, მოლაპარაკებების პროცესს აღვადგენდი და საუბარს ისეთ ძლიერ ინფრასტრუქტურულ საკითხზე დავიწყებდი, როგორიცაა რკინიგზა. ეს აფხაზებსა და ქართველებს უდავოდ დაგვაახლოებს. გარდა ამისა, ეს რეგიონული ინტერესის სფეროა, მათ შორის - რუსეთისაც, ამიტომ თითქოს მათთან ურთიერთობა საერთაშორისო ლეგიტიმაციას ნიშნავს, ყურით მოთრეულია. ჩვენთვის პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს იმ ადამიანებთან ლაპარაკი, ვისაც ენდობა და ირჩევს აფხაზეთის საზოგადოების იმ ტერიტორიაზე მცხოვრები ნაწილი. მათთან ურთიერთობა აბსოლუტურად ბუნებრივია. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ მათ არჩევითობას ლეგიტიმაციას ვუწევთ. შეთანხმებები სწორედ დე ფაქტო ხელისუფლებასთან უნდა დავდოთ, - სხვაგვარად საქმის წინ წაწევა შეუძლებელია და ამ პირობებში არაღიარების პოლიტიკა სრულიად შენარჩუნებადია. მსოფლიო საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ძალიან მყარად უჭერს მხარს და ამ საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია. პარალელურად ვისაუბრებდი სასოფლო-სამეურნეო საკითხზე. ვთვლი, რომ გალის, ოჩამჩირის, სოხუმის და სამეგრელოს რაიონებს შორის სასოფლო-სამეურნეო სფეროში თანამშრომლობისთვის ძალიან დიდი სივრცე არსებობს. ჩვენი მიზანი ახალი საბაზრო შესაძლებლობების გაჩენაა, სავაჭრო სივრცის გახსნა კი ის საკითხია, რომლითაც აფხაზები დაინტერესებულები არიან. მთავარი, რაც უნდა გვესმოდეს, ისაა, რომ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან ურთიერთობის არ უნდა შეგვეშინდეს. საუბრები იმაზე, რამდენი ქვეყანაც არ უნდა მოისყიდოს რუსეთმა, ეს მდგომარეობა არ შეიცვლება. შესაბამისად, ამ კუთხით საფრთხე არ გველოდება.

**— ბოლო პერიოდში რუსულ და ახლა უკვე ოსურ მედიაშიც გავრცელდა ცნობები რუსეთის მიერ საქართველოში ხელისუფლების შეცვლის ფასად ე.წ. სამხრეთ ოსეთის შესაძლო დაბრუნების თაობაზე. რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ რუსეთის მიერ ამ სცენარის განხორციელება?**

— ეს სისულელეა. არავინ არაფრის ფასად არაფერს დაგვიბრუნებს. აფხაზებიც და ოსებიც პირველ რიგში, ჩვენი დასაბრუნებელია. ილუზიაა, რომ რუსეთი ვიღაცას რაღაცას აჩუქებს, წინდაუხედავი კაცის ნააზრევია.

**— თქვენ მომხრე ხართ საქართველომ ჩვენი ეროვნული ინტერესების დაცვის გარანტიის სანაცვლოდ რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებაზე თანხმობა განაცხადოს. რას გულისხმობთ ამ შემთხვევაში ეროვნულ ინტერესებში და რა გარანტიები არსებობს იმისა, რომ რუსეთი, ყველა წინა შემთხვევისგან განსხვავებით, ამჯერად ნაკისრ ვალდებულებებს შეასრულებს?**

— შემხვედრ კითხვას დავსვამ: საქართველომ რომ თანხმობა არ განაცხადოს, რა გარანტიაა იმისა, რომ რუსეთი ვმო-ში არ შევა? რაც უფრო მეტად ითამაშებს რუსეთი საერთაშორისოდ აღიარებული სავალდებულო წესებით, მათ შორის — სავაჭრო ეკონომიკურ ურთიერთობებში, მით მეტად უნდა იყოს ეს მისაღები მთელი მსოფლიოსთვის და ჩვენთვის. დღეს რუსეთის მსო-ში გაწევრება ჩვენ 2 საკითხის გადაწყვეტის ბერკეტს გვაძლევს. საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთის მსო-ში გაწევრებაზე თანხმობა ქართული პროდუქციის რუსეთის ბაზარზე დაბრუნების, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო მონიტორინგის დაშვების სანაცვლოდ უნდა განაცხადოს. ეს არის, მინიმუმ, ის ორი საკითხი, რომელიც ქართველმა მომლაპარაკებლებმა უნდა გაითვალისწინონ.

**— სადღეისოდ, როცა საქართველოში მოქმედი ერთადერთი საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია ევროკავშირისაა, სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის წარმომადგენლობის მოქმედების ბედი გაურკვეველია. პიტერ სემნების უფლებამოსილების ვადა თვის ბოლოს ეწურება, ხოლო დაინიშნება თუ არა მისი შემცვლელი, ამ დრომდე უცნობია. თქვენი მონაცემებით, რატომ გაუჭირდა ევროკავშირს ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება? ხომ არ ნიშნავს ეს კონფლიქტების მოგვარების კუთხით ევროკავშირის მხრიდან საკუთარი უუნარობის მორიგ აღიარებას?**

— ევროკავშირში ინსტიტუციონალური რეფორმების საკითხი დგას. სემნების ვადის ამოწურვა და მისი ინსტიტუტის გაუქმება არ ნიშნავს, რომ ევროპა საქართველოსა და კავკასიაში კონფლიქტების დარეგულირებაში ჩართული არ იქნება. ამ ფუნქციებს გარკვეულწილად, თავის თავზე საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენელი აიღებს. როგორც ვიცი, მიმდინარეობს მსჯელობა სპეცწარმომადგენლის კადრის შენარჩუნებაზე და ეს უბრალოდ შიდაინსტიტუციური გადალაგებაა. რაც შეეხება ევროკავშირის „უსუსურობას", მე ასე ხმამაღლა არ ვიტყოდი, რადგან კონფლიქტების დარეგულირების კუთხით უუნარობა და უსუსურობა პირველ რიგში, საქართველოს ხელისუფლებამ გამოავლინა და საკუთარი პრობლემების სხვისთვის გადაბრალება არაფერს მოგვცემს. ჩვენ, ევროპაც, ამერიკაც და ყველა სხვა პარტნიორიც ინსტრუმენტებად უნდა გამოვიყენოთ და გვახსოვდეს, რომ ისინი იმდენად კარგი ინსტრუმენტები არიან, რამდენადაც კარგი მოთამაშეებიც ვართ ჩვენ დიპლომატიასა და პოლიტიკაში. ასე რომ, პარტნიორობა ევროკავშირთან კონფლიქტების დარეგულირების თვალსაზრისით გაგრძელდება.

**ხათუნა გაგნიძე,**
**ნინო ჩიჩუა,**
საინფორმაციო სააგენტო „პირველი"

ინფორმაცია

## დანიელ გუფთა მალე მთელ თბილისსაც იყიდის

**ე. წ. არამიანცის კომპლექსში შემავალი სამედიცინო დაწესებულებების შემდეგ, დანიელ გუფთა უკვე სხვა ობიექტებსა და მიწის ნაკვეთებს იძენს.**

დანიელ გუფთამ ე.წ. არამიანცის კომპლექსის ტერიტორიაზე მდებარე 2 მიწის ნაკვეთი, აუქციონის წესით შეიძინა, რომელშიც 1,6 მლნ. ლარი გადაიხადა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, აუქციონის წესით გაიყიდა თბილისში, წინანდლის ქუჩა №9-ში პირველ სართულზე მდებარე 862,21 კვ.მ. ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

აღნიშნულ ობიექტში დანიელ გუფთამ 1,2 მლნ. ლარი გადაიხადა. დანიელ გუფთამვე შეიძინა ასევე წინანდლის ქუჩა №9-ში მე-2 სართულზე მდებარე 420 კვ.მ. ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელშიც ბიზნესმენმა 400 ათასი ლარი გადაიხადა.

შეგახსენებთ, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ საპრივატიზაციოდ გამოტანილი, ე. წ. არამიანცის კომპლექსში შემავალი 6 კლინიკის მფლობელი დანიელ გუფთა უკვე გახდა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში განმარტავენ, რომ დანიელ გუფთა კომპანია „ამტელ-პროპერტიეს" ერთ-ერთი დირექტორია. სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული კომპანია ახორციელებს საინვესტიციო საქმიანობას ისეთი ქვეყნების უძრავ ქონებაში, როგორიცაა: სინგაპური, ინდოეთი, გაერთიანებული სამეფო, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნები და საქართველო.

გუფთამ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან 330 ათას ლარად „ზოგადი თერაპიის კლინიკა", 740 ათას ლარად შპს „ძმები ზუბალაშვილების სახელობის პედიატრიული კლინიკა", 500 ათას ლარად შპს „თვალის სნეულებათა კლინიკა მზერა", 720 ათას ლარად „გინეკოლოგიური კლინიკა", 55 ათას ლარად „ანესთეზიოლოგიური კლინიკა" და 2 მლნ. 100 ათას ლარად „თორაკო-აბდომინალური კლინიკის" მფლობელიც გახდა.

ჯი-ეიჩ-ენი

ღვაწლი

# თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე და მეცნიერების ორგანიზატორი

**ამ დღეებში საზოგადოებამ მიიღო მიხეილ ღვინჯილიას დაბადებიდან 95-ე წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნი, რომელშიც ქრონოლოგიურად აისახა მისი ცხოვრება და შემოქმედებითი საქმიანობა.**

**მიხეილ ღვინჯილია სიცოცხლეშივე საზოგადოებამ აღიარა გამორჩეულ სახელმწიფო მოღვაწედ და მეცნიერების ორგანიზატორად, ღირსეულად შეაფასა მისი ღვაწლი საქართველოს სოფლის მეურნეობის კომპლექსურ განვითარებაში. მან მოღვაწეობის დიდი გზა წარმატებულად განვლო, საკუთარ თავზე გამოსცადა ყოველივე ის, რაც მის თაობას ცხოვრების მკაცრ ეპოქაში ერგო.**



**ბატონი მიხეილის საქმიანობას ყოველთვის ამშვენებდა ქვეყნის, საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის უმაღლესი გრძნობა. ნებისმიერ სიტუაციაში (წარუმატებლობის თუ წარმატებისას) იგი დაკისრებულ საქმეს მაღალი პასუხისმგებლობით, ბუნებრივი ენთუზიაზმით და პროფესიონალურად აკეთებდა. იგი სიტყვის სრული მნიშვნელობით საქმის კაცი იყო.**

**ბატონი მიხეილი დროის შესაფერისი უმაღლესი განათლებითა და სამეცნიერო კვალიფიკაციით, ფართო ერუდიციითა და მასშტაბური აზროვნებით, პრაქტიკის მყისიერად შეფასების ალღოთი და ახლის, პროგრესულის ყოველმხრივი მხარდაჭერის უნარით გამოირჩეოდა. იგი ზედმიწევნით ყურადღებიანი იყო ადამიანების მიმართ. კარგად იცოდა ქართული ტრადიციები. იყო მომფერებელი, სხვისი ჭირის გამზიარებელი, სტუმართმოყვარე. მუდამ ცდილობდა მართალი კაცის ცხოვრებით ეცხოვრა. ეს შეძლო კიდეც. მისი ოჯახი საზოგადოებაში მოკრძალებული ადგილით გამოირჩეოდა. ყველაზე კარგად ეს დღევანდელი გადასახედიდან გამოჩნდა.**

**მიხეილისნაირი მოღვაწეებისათვის სახელმწიფო პოსტი ქვეყნისთვის ერთგულებისა და საზოგადოებისთვის უანგარო სამსახურის შესაძლებლობა იყო მხოლოდ.**

**მიხეილ ღვინჯილია სულითა და ხორცით, რწმენითა და ილუზიებით, პრინციპულობითა და კომპრომისულობით, საზოგადოებრივი საქმისადმი ერთგულებითა და პირად ცხოვრებაში თავმდაბლობით, საკუთარი პოზიციის დაცვისა და ნიჭიერ ადამიანთა აღიარების უნარით თავის გარშემო ჰქმნიდა განსაკუთრებულ გარემოს (აურას), რომელსაც ყოველთვის ენდობოდა საზოგადოება.**

**როგორ სჭირდება საქართველოს მიხეილ ღვინჯილიასნაირი ქართველი მოღვაწეები, ღირსეული მოქალაქენი და ნდობის კაცები.**

**ნოდარ ჭითანავა**

ეკონომიკა

# სახელმწიფო ბანკების მოგების წილში ზის



**სულაც არ არის ახალი, რომ ადგილობრივ წარმოებას, მით უფრო სასოფლო-სამეურნეო დარგს, კომერციული ბანკები ნაკლებად აფინანსებენ. ლოგიკა მარტივია — ბანკი არ რისკავს. ერთმა გარდაბნელმა ბანკს სესხი სთხოვა პომიდორის მეურნეობის გასამართად. თუმცა უარი მიიღო. შემდეგ გადაწყვიტა, პომიდორი თურქეთიდან შემოეტანა და ვაჭრობა დაეწყო. პროექტი დაუფინანსეს... რას ემსახურება ასეთი მიდგომა, რამდენად ვალდებულია ბანკი, ქვეყნის ადგილობრივ წარმოებაზე იყოს ორიენტირებული, ან რა როლი ენიჭება ასეთ დროს სახელმწიფოს ჩარევას? — ამ საკითხებზე გვესაუბრება ეკონომიკის ექსპერტი ნოდარ ჯავახიშვილი:**

— კომერციული ბანკისთვის ძნელია, ასეთ სარისკო დარგში ფული ჩადოს. დათესავ, ჩითილს ამოიყვან, იმუშავებ, მაგრამ ნაყოფს ან მიიღებ, ან არა. აი, ნაწარმოებ პროდუქციას კი უკვე გარანტია აქვს და ბანკმა იცის, რომ გაიყიდება. ამიტომ ბანკებს უჭირთ ხოლმე ასეთი „სარისკო“ პროექტების დაფინანსება.

მაგრამ თავად სახელმწიფომ უნდა გააკეთოს ყველაფერი სოფლის მეურნეობის ფეხზე დასაყენებლად. როცა ამბობენ, 5 მილიარდის სესხია საქართველოს ეკონომიკაში ჩადებულიო, ცდებიან. ეს არის თურქეთის, ჩინეთის, დუბაის... ეკონომიკაში ჩადებული ფული. სახელმწიფო გარკვეულ ეტაპზე უნდა დაეხმაროს სოფლის მეურნეობას, დააზღვიოს ის, ასეთ შემთხვევაში, ბანკსაც ადგილობრივი წარმოებისთვის ხელის შეწყობის მეტი შესაძლებლობა ექნება. თუ ბანკი პირდაპირ რისკზე წავა, მაშინ პროცენტი ძალიან მაღალი იქნება.

კომერციული ბანკი ასე ხელაღებით პროექტებს ვერ დააფინანსებს. მან მყარად უნდა იმუშაოს, თუ არადა ეკონომიკა ჩამოიშლება. როცა ბანკი რაღაცას აკრედიტებს, ის იყენებს დეპოზიტებს, ანუ ფულს, რომელიც მოქალაქეებსა აქვთ ჩადებული. თუმცა, როცა ბანკები არ აძლევენ სესხებს ახალ წარმოებას, სწორედ ამ დროს არის საჭირო სახელმწიფოს ჩარევა და სწორი პოლიტიკა.

**— პრეზიდენტმა თქვა, სოფლის მეურნეობისთვის 150 მილიონია გამოყოფილიო.**

— კი მაგრამ, ახლა რომ ლაპარაკობს, სოფლის მეურნეობის აღორძინებას ხომ დრო სჭირდება?! 2002 წლიდან კატასტროფულად დაეცა სოფლის მეურნეობის ყველა დარგი, სახნავ-სათესი მიწები შემცირდა, დამუშავებული ფართობი და რა, თქმა უნდა, შემოსავლიანობაც. სოფლის მეურნეობის წილმა მთლიან შიდა პროდუქტში — 25-დან 8,5 პროცენტამდე დაიწია.

**— რატომღაც, სანამ ინფლაციის თემა არ გახდა „პოპულარული“, სოფლის მეურნეობის განვითარების აუცილებლობაზე კრინტს არავინ სძრავდა...**

— არ შეიძლება, შევქმნათ მათხოვრების ქვეყანა, რომლის სამომხმარებლო კალათის 80-90 პროცენტი სხვა ქვეყნის პროდუქციას უკავია. შენ უნდა აწარმოო პროდუქცია, მყარად რომ იდგე. მაშინ ინფლაციაც არ იქნება საშიში. მეწარმე, რომელიც პროდუქციას აწარმოებს, ინფლაციით იგებს, შემოსავლები ეზრდება. ჩვენნაირი ქვეყნისათვის ინფლაცია უბედურებაა.

აი, აქაც სახელმწიფოს უზნეო პოლიტიკა იჩენს თავს. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა პრინციპში არ ითვალისწინებს სახელმწიფოს ჩარევას ფასწარმოქმნაში. თუმცა, როცა კომერციული ბანკები მონოპოლიურად ყალიბდებიან და ერთმანეთთან შეთანხმებით აწესებენ ფასებს — ერთნაირად უსაფუძვლოდ მაღალს, მაშინ სახელმწიფო ვალდებულია, ჩაერიოს.

**— გასული წელი საბანკო სექტორმა დიდი მოგებით — 156 მილიონ 300 ათასი ლარის წმინდა მოგებით დაამთავრა...**

— იმიტომ, რომ უსაფუძვლოდ მაღალი აქვთ საპროცენტო განაკვეთი. როგორ ხდება, რომ

> **როცა ამერიკაში გლობალური ფინანსური კრიზისი დაიწყო, ბანკებს სერიოზულ დახმარებას დაჰპირდნენ, მაგრამ პირველი, რაც მოსთხოვეს, ის იყო, რომ დივიდენდების გაცემა შეეწყვიტათ და შეემცირებინათ მაღალი ხელფასები. საქართველოში ასე არ მოხდა, რაც პირდაპირი დასტურია იმისა, რომ სახელმწიფო ბანკების მოგების წილში ზის**

ბანკის ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურება წელიწადში მილიონი ლარია, ვის ხარჯზე აკეთებს ამას? ამერიკისა თუ შვეიცარიის ბანკის ხელმძღვანელებს რომ ეჯიბრებიან ხელფასებში, მაშინ დაუშვან ისეთივე დაბალი საპროცენტო განაკვეთი, როგორც იქ არის. იქ 4-პროცენტიანი საპროცენტო განაკვეთიდან იღებენ ხელფასებს, აქ — 36 პროცენტიდან. აი, ეს ხდება მოსახლეობის ყვლეფის ხარჯზე და ამას სახელმწიფო არ უნდა უშვებდეს.

**— ბანკებმა საპროცენტო განაკვეთი 11 პროცენტამდეც კი დასწიეს.**

— გლობალური კრიზისის მერე ბანკები საკუთარ თავს გადაახტნენ და საქართველოს მოსახლეობის აქტიური ნაწილი შავ სიაში შეიყვანეს. პრაქტიკულად არავინ დარჩა ისეთი, ვისთვისაც შეიძლებოდა ფული მიეცათ. ამ დროს საერთაშორისო დახმარებები იზრდებოდა, გაიზარდა დეპოზიტები, სახელმწიფოც დაეხმარა ბანკებს. ამიტომ ფული ჭარბად დაუგროვდათ, ხოლო მსესხებელი არავინ იყო. საპროცენტო განაკვეთის დაწევაც ავტომატურად, მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსის გამო მოხდა, და აქ არაფერ შუაშია ქველმოქმედება. როცა სახელმწიფომ მისცა ბანკებს არაადეკვატურად უხვი დახმარება 5 პროცენტად, შეეძლო ეთქვა და მოეთხოვა კომერციული ბანკებისთვის დაბალი განაკვეთი. 10-15 პროცენტი საკმარისი არ არის მოგებისთვის? მაგრამ სახელმწიფომ ეს არ გააკეთა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ის თავად ზის ბანკების წილებში.

**— თუმცა ზოგიერთი ბანკირი ამბობს, რომ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია ბანკებში არსებული ფულის თვითღირებულებაზე. ქართულ ბაზარზე კი დღეისათვის იაფი ფული არ არის, რაც იძულებულს ხდის ბანკებს, სესხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი დააწესონო...**

— კი, მაგრამ სახელმწიფომ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან იმიტომ კი არ მიიღო ამხელა დახმარება, რომ ჩინოვნიკები გადარჩენილიყვნენ, ან კიდევ საბანკო სექტორი, არამედ იმისთვის, რომ მათ ანალოგიური შეღავათები მსესხებლისთვის გაეწიათ.

როცა ამერიკაში გლობალური ფინანსური კრიზისი დაიწყო, ბანკებს სერიოზული დახმარებას დაჰპირდნენ, მაგრამ პირველი, რაც მოსთხოვეს, ის იყო, რომ დივიდენდების გაცემა შეეწყვიტათ და შეემცირებინათ მაღალი ხელფასები. საქართველოში ასე არ მოხდა, რაც პირდაპირი დასტურია იმისა, რომ სახელმწიფო ბანკების მოგების წილში ზის. როცა საკუთარი ბანკი თავზე გემხობა, შენ კი არ იმცირებ ხელფასს საერთაშორისო დახმარების ხარჯზე, აი, ეს არის ამორალობა და უზნეობა. თუმცა პიროვნების მორალურ ასპექტზე ძალიან ცოტა უნდა იყოს დამოკიდებული და სახელმწიფო მორალურ საფუძველზე უნდა არეგულირებდეს კანონმდებლობას. მაგალითად, ქურდობა ანტიქრისტიანული ქმედებაა, მაგრამ ის ადამიანის ნებაზე არ არის მიშვებული. ქურდობას კანონი კრძალავს და დამნაშავეს იჭერენ. ასე რომ, ყველა სფეროში აუცილებელია რეგულაციის ნორმები.

**— ბატონო ნოდარ, ეკონომიკა, ბიზნესი ძალიან ზუსტი და პრაგმატულია. შეიძლება ეს სფერო ზნეობაზე და მორალზე დააფუძნო და ააგო?**

— რა თქმა უნდა, საბაზრო ეკონომიკაში თავდაპირველად არ იყო ზნეობა და მორალი, თუმცა საზოგადოება განვითარების რაღაც ეტაპზე მიხვდა, რომ უზნეო ქმედება არ შეიძლება. დაიწყო ეკონომიკის რეგულაცია, შეზღუდვა, ზედამხედველობა. კონკურენცია იმისთვის არის, რომ მეწარმე იბრძვის მომხმარებლის დასაპყრობად, ბაზრის გასაფართოებლად. გამარჯვებული რჩება ის, ვინც აწარმოებს უკეთესი ხარისხისას და უფრო იაფად. კმაყოფილია მომხმარებელი. აი, ეს არის მორალური ეკონომიკის ლოგიკა. ჩვენთან ასე არ ხდება, აქ ბაზარი არის მონოპოლიზებული, რაც თავისი ბუნებით უკვე კორუფციულია. ასე ხდება საბანკო სექტორშიც, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ...

ესაუბრა
**თეა მოსია**

გეოპოლიტიკური პრეტენზიები

# ამუშავდება „ბარტყების გადაგდების“ მექანიზმი?

(მესამე გვერდიდან)

**— უკვე ითქვა, რომ ახალ კონცეფციაში საქართველოს პარლამენტი რუსეთს მთავარი საფრთხის, აგრესორისა და ოკუპანტის სტატუსს საგაზაფხულო სესიაზე მიანიჭებს. ეს რომ ასეა, ფაქტია, მაგრამ რამდენად სავარაუდოა, რომ მასზე დასავლეთს ადეკვატური რეაქცია ექნება?**

— ძნელი წარმოსადგენია. უფრო ველოდები, რომ დასავლეთის წარმომადგენლების რჩევა იქნება, უკიდურესად არ გავამწვავოთ სიტუაცია, ყველა ხიდი არ ჩავტეხოთ. დასავლეთში დღეს ბევრს სურს, შეძლებისდაგვარად ხანგრძლივად დაიჯეროს მითი რუსეთის მოდერნიზაციის შესაძლებლობისა და მედვედევის რეფორმატორი ფიგურის შესახებ. არადა, რუსული ნეოიმპერიალისტური რევანშიზმის არსებობა ფაქტია.

**— დასავლეთში ხშირად გამოთქვმენ წუხილს, შეძლებს თუ არა რუსეთი 10 წელი სტაბილურობისა და „წონასწორობის“ შენარჩუნებას. თქვენი აზრით, სავარაუდოდ, როგორ განვითარდება პროცესები რუსეთში?**

— პროცესები, ალბათ, რუსული ნაციონალიზმის გაძლიერების მიმართულებით წავა. ცხადია, შენარჩუნდება ოფიციალური კომპლიმენტარული დამოკიდებულება ეროვნულ უმცირესობათა ელიტებისა და რუსული ისლამის სამყაროს მიმართ, მაგრამ აშკარა გახდება, რომ რუსულ საშინაო პოლიტიკაში სულ უფრო და უფრო დიდ როლს შეასრულებს აგრესიული რუსული ნაციონალიზმი თავისი ირაციონალური მესიანიზმით.

რუსული დერჟავა — ეს უზარმაზარი და არაერთგვაროვანი სხეული — თავისი არსებობის ყველა ეტაპზე მოითხოვდა რაიმე გენერალურ იდეას, რომელიც მას გააერთიანებდა. კომუნიზმის იდეის კრახის შემდეგ მესამე რომის იდეის მეტი ვერაფერი მოიძებნა, ეს კი რუსული სახელმწიფოებრიობისთვისვე სახიფათო რუსული ნაციონალიზმის გაძლიერების ტოლფარდია. ამ გარემოებამ რელიგიური და ნაციონალური უმცირესობები სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ შეთქმულებად შეიძლება აქციოს. ამიტომაც წერენ ხშირად დღეს თავად რუსი ანალიტიკოსები, რომ ის ტენდენციები, რომელიც დღეს რუსეთის საშინაო პოლიტიკურ სივრცეზე შეინიშნება, დამღუპველია თავად ამ ქვეყნისათვის. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ იმპერიის სწრაფი დანგრევის მოლოდინზე უნდა ავაგოთ ჩვენი სტრატეგია, როგორც ერთხელ უკვე გულუბრყვილოდ იქნა აგებული რუსეთისა და დასავლეთის ფარულ დაპირისპირებაზე.

**კობა ბენდელიანი.**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №177



# თამაზ ჭილაძის „საკუთარი დრო“



## ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე

ასე ეწოდება თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსის – თამაზ ჭილაძის ერთ-ერთ მოთხრობას, რომელიც 5 მარტს თავის 80 წლისთავს აღნიშნავს. მახსოვს 1961 წელს, ლიტერატურული ინსტიტუტის მომავალი სტუდენტი, მივედი განახლებულ ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციაში, სადაც მაშინ ქართული ლიტერატურის საუკეთესო თაობა მუშაობდა, რომელსაც მოგვიანებით „ახალი ქართული ტალღა“ ეწოდა.

თამაზ ჭილაძე უთუოდ გახლდათ ევროპული მიმართულების პროზის ლიდერი, რასაც მოწმობს მისი ადრეული მოთხრობა „გასეირნება პონის ეტლით“. მას დღემდე აღტაცებაში მოვყავართ თავისი სიცოცხლისუნარიანობით, დახვეწილობით. რა თქმა უნდა, ვთარგმნე ეს ტექსტი და ვცადე დამეცვა იგი ლიტერატურის ინსტიტუტში, როგორც ჩემი სადიპლომო ნამუშევარი. კათედრაზე მოთხრობა მიიჩნიეს „უიდეოდ და ფორმალისტურად“. იძულებული გავხდი სასწრაფოდ შემერჩია სრულიად სხვა ნაწარმოები – ეს იყო დემნა შენგელაიას პროზა. ამჯერად დიპლომის დაცვამ წარმატებით ჩაიარა. თამაზ ჭილაძის არც შემდგომ მოთხრობას – „შუადღე“ ხვდა უკეთესი ბედი. ვერც ერთმა მოსკოვურმა ჟურნალმა ვერ გაბედა გამოექვეყნებინა ესოდენ „არასაბჭოთა“ ნაწარმოები, თუმც, მის ავტორს ძალიან აფასებდნენ როგორც ცნობილ პოეტსა და პროზაიკოსს.

თამაზი დღემდე რჩება არა მხოლოდ ნოველისა თუ რომანის შეუდარებელ ოსტატად, არამედ იგი გვევლინება მცირე პიესების ავტორადაც, მაგ: „პარასკევი“, „წერო“. მე აუცილებლად შევიტანდი „პარასკევს“ მსოფლიო მოთხრობების ანთოლოგიაში. ბიჭუნას სახე, რომლის მშობლებიც იყრებიან, მაშინ ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა მწერალმა, ისეთი სრულყოფილებითა და ოსტატობით შექმნა, რომ სამუდამოდ ჩაიბეჭდა მკითხველის ცნობიერებაში. თამაზ ჭილაძის პროზაზე ბევრს წერდა ქართული, რუსული, პოლონური, ჩეხური კრიტიკა, ასევე ყველა ის ქვეყანა (რამდენიმე ათეული), რომელთა ენაზეც ითარგმნებოდა ავტორის ნაწარმოებები. კარგად მახსოვს, ერთ-ერთი სტატიის სათაური – „თამაზ ჭილაძის უცნაური ადამიანები“. მართლაც, ამ მოთხრობების, რომანებისა და ნოველების გმირები უბრალო მოკვდავები არ არიან. მათი უმრავლესობა ფილოსოფოსი და რომანტიკოსია, ცხოვრების არსის მარადიულ ძიებაში. თუმცა ავტორი არ სწყდება მიწას. ხანდახან დაუნდობლადაც ამხელს სინამდვილეს, არ მალავს ადამიანის ბიწიერებას, პირდაპირობით და გულწრფელობით გვიყვება ოცნებასა და რეალობას შორის არსებულ უფსკრულზე, რაც მრავალ შეკითხვაზე მკითხველისაგან დაძაბულ ფიქრს ითხოვს.

მგონი ჩეხოვი ამბობდა მწერლებზე: ჩვენ არ ვართ ექიმები, ჩვენ ვართ – ტკივილი. ეს ძალიან ახლოსაა იმ მიზანთან, რასაც ჭილაძე ისახავს. მან, ისევე როგორც ჩვენ, მისმა მკითხველებმა, არ იცის ზუსტი პასუხები ყველაზე მწვავე კითხვებზე. იგი სვამს კითხვებს და ეს, ჩემი აზრით, ლიტერატურის მთავარი ამოცანაა.

ის პროზა, რომელზეც ვსაუბრობთ, სიუჟეტისა და ფაბულის სირთულის გარდა, გამოირჩევა ლექსიკის უნიკალური სიმდიდრით. რასაკვირველია, ავტორი ქართული და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკის მემკვიდრეა. ტექსტში არაფერია ზედმეტი ან შემთხვევითი, შეუძლებელია რომელიმე სიტყვის შეცვლა. ყოველი წინადადება მყარადაა ჩამოქნილი და ალმასივით ბრწყინავს. სტილი – ეს ადამიანია, ამბობდნენ ფრანგები და ამ მხრივ თამაზი ამგვარი პრინციპის განმგრძელებელია. მის პროზას იცნობ პირველ ორ აბზაციდანვე, განუმეორებელი ინტონაციით, იგი აწყობილია რაღაც კამერტონზე, რომელიც განსაზღვრავს სევდისა და ნაღველის დახშულ ბგერას. მიუხედავად ამისა, ყოველი მისი ნაწარმოების ფინალში მკითხველი მუდამ ღვთაებრივი ჭვრეტის ნათელითა და რწმენით ივსება. ეს, როგორც წესი, ახასიათებთ რომანტიკოს მწერლებს, რომელთა რიცხვს, მე რა თქმა უნდა, ვაკუთვნებ თამაზ ჭილაძეს. ამ აზრით იგი აი, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, რჩება წამყვან მწერლად თუ არა, ერთადერთად.

ავტორის მწერლური მანერის აღქმისთვის ყოველთვის საჭიროა გვახსოვდეს, რომ თავისი შემოქმედება დაიწყო, როგორც პოეტმა. აქედანაა მისი სიზუსტე, გამომხატველობა და ლაკონურობა. ვკითხულობ რა მის საუკეთესო ნაწარმოებებს (რომანი – „აი, დასრულდა ზამთარი“, მოთხრობები: „თეთრი კვამლი“, „პოსეიდონის სასახლე“, „აუზი“, ან ბოლოდროინდელი თხზულებები: „ჩამავალი მზის სხივი“, „კაქტუსის ბაღი“, „ბრეიგელის მთვარე“) არ მტოვებს შეგრძნება, რომ ყოველი ფრაზა გაჟღენთილია პოეზიით, რაღაც განსაკუთრებული დაძაბულობით, რაღაც ფანტასტიკური სახითაა ორგანიზებული ნაწარმოებთა რიტმი, გამსჭვალულია მუსიკით. მე დღემდე მახსოვს 1958 წელს დაწერილი თამაზ ჭილაძის ლექსი, რომელიც შემდგომ ბელა ახმადულინამ თარგმნა:

პოეტის ეს სტროფები ორიგინალურია, უჩვეულო ხატოვანი სისტემით, საკუთარი ხმით. ამ შემთხვევაში ხომ ქალთან განშორებაზეა თხრობა. თემა თითქოს დიდი ხანია ამოწურულია, მაგრამ აქ პოეტის პირადი ტრაგედიაა აღწერილი, როცა ბუდესავით დაცარიელებული თვალები აღარ აირეკლავენ სატრფოს სახეს. მსგავსი მაგალითების მოხმობა ჭილაძის ლექსებიდან მრავლად შეიძლება და ყოველი მათგანი დამაჯერებელი იქნება.

თამაზ ჭილაძე არა მხოლოდ უმაღლესი რანგის პოეტი და პროზაიკოსია, არამედ შესანიშნავი დრამატურგიც. თანაც დრამატურგი-ნოვატორი. თუ არ ვცდები, მას რამდენიმე ათეული პიესა აქვს, მაგრამ შევჩერდები ერთ მათგანზე, რომელიც რობერტ სტურუამ დადგა სცენაზე და რუსთაველის თეატრმა მოსკოვში გასტროლებზე ჩამოიტანა – „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“. იმ სპექტაკლზე თეატრში მოხვედრა შეუძლებელი იყო.

> **„თავისუფლება კულტურის ენით საუბრობს“.**
> **თამაზ ჭილაძე**

1978 წელს რუსეთში ამის მსგავსი რამ რომც დაწერილიყო, სცენაზე არ დაიდგმებოდა. პუბლიკა საკუთარ თვალებს და ყურებს არ უჯერებდა. სრულიად დაუშვებელი გახლდათ, რომ ფინალში, სცენაზე გმირს თავი ჩამოეხრჩო ან თავის ჩამოხრჩობა ეცადა. ამ გამონაკლის შემთხვევაში ნიჭმა და სიმართლემ სძლია რკინა-ბეტონის ცენზურას. ამ პიესას ისევე, როგორც სხვადასხვა დროს დაწერილ დანარჩენ პიესებს, ჩემი აზრით, ანალოგი არ გააჩნია თანამედროვე რუსულ ლიტერატურაში. მათი შედარება მხოლოდ ევროპულ და ამერიკულ პიესებთანაა შესაძლებელი. ვფიქრობ, რომ ახალგაზრდა რეჟისორები, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც, დაინახავენ თამაზ ჭილაძის უჩვეულო დრამატურგიაში იმას, რაც ჯერ არ უგრძვნიათ, რისთვის და მეორე სიცოცხლეც არ მიუნიჭებიათ თეატრის ფიცარნაგზე.

მე მქონდა ბედნიერება მეთარგმნა იუბილარის არა მხოლოდ პროზა და დრამატურგია, არამედ მისი ესსეები, სიღრმითა და სინატიფით გამორჩეული. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ყველა კულტურული ერისთვის ესოდენ აუცილებელი ეს ჟანრი, დღეს გარკვეულად დავიწყებასაა მიცემული მთელ მსოფლიოში და ვფიქრობ, ძალიან საწყენია. ესეისტიკა გამოხატავს ერის ხასიათს, მის ისტორიას, აფასებს მიღწევებს კულტურაში, უნარჩუნებს რა მათ განუმეორებელ ინდივიდუალობას. არასოდეს დამავიწყდება სტრიქონები **„გურამ რჩეულიშვილის ხსოვნას“.** ჩვენ ვხედავთ დაუცხრომელ, მგზნებარე ადამიანს და მისი სახე ემსგავსება მისივე შემოქმედების მოკლე ექსკურსს.

მას უყვარდა მთები, ცხენები და ზღვა – სიმაღლე, მოძრაობა და სივრცე. უყვარდა პირველყოფილი კაცის გახელებითა და ვნებით და სამყაროს ქვის კედლებისგან შუბლზე კოპი აჯდა და მუხლისთავები გადატყავებული ჰქონდა.

მთა მისთვის იქცა იმ მოჯადოებულ სამყაროდ, სადაც ის პოულობდა თავისივე ფანტაზიით შექმნილ კონფლიქტების შესატყვის მოვლენებს. გურამ რჩეულიშვილი ბობოქარსა და ძლიერ ხასიათებს ეძებდა იქ, დიდი, თანამედროვე ცივილიზაციის კერებისგან დაშორებით.

ასეთივე გამომხატველობითაა ასახული ტიციან ტაბიძისა და ანა კალანდაძის ცხოვრება და ბედი. ნამდვილ სიამოვნებას ღებულობს მკითხველი იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამების“ ანალიზით. აქ თამაზ ჭილაძე ამჟღავნებს არა მხოლოდ დღევანდელობისთვის იშვიათ განათლებას, არამედ ჭეშმარიტი მეცნიერის სახელსაც იმსახურებს. იგი ბრწყინვალე მკვლევარი, ფილოლოგი, ფილოსოფოსი და ისტორიკოსია. სწორედ ამ ნიშნებმა განაპირობეს ჭილაძის ესეისტიკის მაღალი დონე, რომელიც დაკავშირებულია შოთა რუსთაველისეულ ქართული ლიტერატურის ფენომენთან. მე ვსაუბრობ ბრწყინვალე ნარკვევზე „ვარდის ფურცლობის ნიშანი“. ლამის პირველთაგანი, მსოფლიო მასშტაბით, „ვეფხისტყაოსნის“ მრავალ მკვლევარს შორის, თამაზ ჭილაძე აღიარებს უკვდავ პოემას როგორც უტყუარ ფაქტს, საქართველოს რენესანსული ეპოქისა. ამჟღავნებს რა ჭეშმარიტი ლიტერატურათმცოდნის, პოეტისა და მეცნიერის საოცარ ალღოს, მიანიშნებს იმ მთავარ პუნქტებზე, რომლებიც XII-XIII საუკუნეების ქართული რენესანსის იდეალების არსებობაზე მეტყველებს. უპირველეს ყოვლისა, პოემა უმღერის ადამიანს, სიყვარულს, მეგობრობას, ერთგულებას, სიკეთის ქმნის აუცილებლობას.

თამაზ ჭილაძის ესეები, თავმოყრილი ძვირფას წიგნში „სიყვარულის უძველესი ენა“, დიდ ინტერესს წარმოადგენს როგორც მოსწავლეთათვის, ისე აკადემიკოსთათვის... ქართველებისთვისაც, უცხოელებისთვისაც. საუბრობს ავტორი რუსთაველზე თუ ვაჟა-ფშაველაზე, იგი ყოველთვის გვანცვიფრებს ცოდნის მასშტაბებითა და სიღრმით, ჩვენს დროში უიშვიათესი უნარით იმუშაოს ტექსტზე და რაც მთავარია, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით.

იგი მთელი ცხოვრება რჩებოდა რა მსოფლიო მოქალაქე, მშობლიურ ლიტერატურაში ევროპული სტანდარტები დანერგა და ზემოთჩამოთვლილ ყველა ჟანრში ავანგარდული მიმართულებები შექმნა. თუმცა, იგი მხოლოდ და მხოლოდ საქართველოსთვის ცხოვრობს და მუშაობს, საკუთარი ხალხის განათლებისა თუ სულიერი აღორძინებისთვის.

მქონდა ბედნიერება გამეცნო მისი მშობლები და თამაზის დაბადების დღეს მსურს მათ ასეთი შვილისთვის მოკრძალებით თავი დავუხარო. ამ ოჯახმა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელ კაცობრიობას აჩუქა ორი შესანიშნავი მწერალი და მე არა მხოლოდ ვემადლიერები მათ ამის გამო, არამედ ვულოცავ კიდეც ამ ბრწყინვალე დღეს მშვენიერ ინა ჭილაძეს და მთელ მის კეთილშობილ ოჯახს.

იუბილარს კი მსურს ვუსურვო მარადიული შთაგონება, დიდი ხნის სიცოცხლე, ახალი წიგნები, რომელნიც მოწოდებულნი არიან განათლებისა და ჰუმანიზმისთვის.



ოთარ და თამაზ ჭილაძეები

**ანაიდა ბესტავაშვილი**

# როგორც მეგზური უცხო მხარეში



არ ვიცი, რამდენად განზოგადებულია ჩემი შეგრძნება, მაგრამ მეჩვენება, რომ არსებობენ პიროვნებები, რომლებიც გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, ცხადად თუ ფარულად მოქმედებენ ჩვენს ბედზე. ისინი მაშინაც „მუშაობენ", როცა ამაზე თავად არა აქვთ წარმოდგენა და რაღაც იდუმალი, ადამიანის გონებისთვის მიუწვდომელი მისიის აღსრულებას ემსახურებიან. მათი მზერიდან ბედისწერის დაკვირვებული, დადარაჯებული სხივი გამოკრთება ხოლმე, რომელსაც იქნებ, ვერც იხელთებდე, თუმცა, ეს სხივი არსებობს, არის, რეალურია, აუცილებელიც, როგორც მეგზური უცხო მხარეში.

რა დასამალია, ჩვენს ოჯახში განსაკუთრებული სითბოთი და სიამაყით მოიხსენიებოდნენ ჭილაძეები. ისიც ბუნებრივია, რომ ადრეული წლებიდან შევეხე ბატონ თამაზ ჭილაძის შემოქმედებას.

უცნაური დრო იყო — გამომწყვდეულობის, უშეღავათო, ყოვლისმომცველი უსხისა, სადაც თავისუფლების თავშესაფარს ლიტერატურაში საერთოდ, ხელოვნებაში ეძებდი და პოულობდი კიდეც. ეს იყო შენი სულიერი სამშობლო, რომელიც გათბობდა, გაპურებდა და, რაც მთავარია, გაოცნებებდა, ანუ ადამიანად გაგრძნობინებდა თავს. 60-იანელთა უაღრესად ნიჭიერ თაობაში, ბატონი თამაზის პოეზია ღვთიური გამჭვირვალობით მეტყველებდა, მისი ესეისტიკა აზროვნების სხვა ჰორიზონტს მთავაზობდა, რადგან ტვინში მარილის სვეტებად ჩამდგარ სტერეოტიპებს თვალსა და ხელს შუა ადნობდა. მიყვარდა ბატონი თამაზის პროზა, წინადადებიდან წინადადებამდე, დარჩენილ სივრცეში, თითქოსდა მარტოობის ღიმილი, ნოტიო სევდა ჩაყურსულიყო, როგორც პატარა, ყველასგან მივიწყებული, წვიმით გაჟინჟღლული რკინიგზის სადგური.

ბატონი თამაზის შემოქმედებაში ჩვენი ევროპული სახე და მისია იკითხებოდა. ჭეშმარიტად ევროპული და არა უგერგილოდ წამხედური. სიღრმისეული და არა მიმსგავსებული. იგი არ ცნობდა ბერლინის კედელს და სოცრეალიზმს. ამ სამყაროსთან შეხება თავისუფლების სიოს ნიშნავდა ჩემი თაობისთვის. სიოს, რომელსაც ვერანაირ საზღვარს ვერ დაუწესებ, უეცრად ჩაიდგა სული, შენამდე მოაღწია და რაღაც ძალიან მთავარს გახსენებს.

> „ადამიანი იმდენი წლისაა, რამდენსაც მოიცავს მისი „საკუთარი დრო", ანუ ადამიანი შეიძლება მთელი კაცობრიობის ხნისაც კი იყოს და, ამავე დროს, შეიძლება მხოლოდ იმდენის, რამდენსაც მისი პირადი კალენდარი გვაუწყებს. ასეთ ადამიანებზე იტყვიან, მათ ვერ შესძლეს თავიანთი სული აევსოთ იმ სიმდიდრით, რასაც დრო ჰქვია..."
>
> თამაზ ჭილაძე

რადგან გახსენებაზე მიდგა საქმე, ჩემთვის ერთ დიარსახსოვარ საღამოზე გავამახვილებ ყურადღებას, რაც, გარკვეულწილად, ამართლებს კიდეც ამ მოკლე წერილის შესავალ ნაწილს.

ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, შეიძლება ითქვას, ბიჭი, რომელმაც არ იცის მისგან რა გამოვა; უბრალოდ ბიჭია და მორჩა, ცხოვრობს ისე, როგორც უნდა, თავისუფლად-ლაღად და [illegible]

ბატონი თამაზის პიესის „როლი დამწყებ მსახიობ გოგონასათვის" პრემიერას დავესწარი რუსთაველის თეატრში (რეჟისორი **რობერტ სტურუა**). ჩემი იმჟამინდელი შთაბეჭდილების გადმოსაცემად ისიც საკმარისი იქნება, თუ ვიტყვი, რომ წარმოდგენის შემდეგ რეტდასხმული და ბედნიერი მივაბიჯებდი რუსთაველის პროსპექტზე. ასე გაზაფხულზე თვრებიან ხოლმე ყმაწვილები უღვინოდ, მხოლოდ ჰაერით. დაბანგულ ტვინში უცნაური სიცხადით წვეული აღმოჩნდებით. შემკრთალიც ხარ და თითქოს წამისწამში, ზღაპრული მოულოდნელობით გაზრდილიც. სხვა თვალით აღიქვამ ქუჩას, ადამიანებს, საღამოს და მიუხედავად იმისა, რომ ოდნავ სისუსტეს გრძნობ მუხლებში, **დარწმუნებით იცი — ახლა ვერავინაა შენი მომრევი, რადგან ბრმა იყავ და თვალი აგეხილა, ბედისწერის ნიშანი მოიხელთე, საჩუქარი მიიღე და ერთი სული გაქვს, სანამ არ განმარტოვდები საჩუქართან ერთად, სანამ მისხალ-მისხალ არ გაზომავ, თითებით არ შეიგრძნობ მას, ცხვირთან არ აიკრავ, რათა ბოლომდე, მთელი არსებით შეისუნთქო ბედისწერისგან ასე უშურველად და დროულად ნაბოძები, შენთვის თურმე ასე აუცილებელი უცხო სურნელი.**

შინ დაბრუნებულს, მახსოვს, როგორ მეპატარავა ჩვენი სამოთახიანი „ხრუშჩოვკის" ჭერი. ისევ იქ მინდოდა, იმ იდუმალ სივრცეში. შთაბეჭდილებათა სიჭარბისგან დაღლილობასაც ვგრძნობდი, მაგრამ ვიცოდი, არ დამეძინებოდა. ტელევიზორი რა სახსენებელია, შინაურებიც მაღიზიანებდნენ იმწუთას. დაუოკებელი სურვილი გამიჩნდა, გავთავისუფლებულიყავი, ამომეთქვა, მომეძებნა სიტყვები ჩემი შეგრძნების გადმოსაცემად, რაღაც გამერკვია, რაღაც, პო, რაღაც, არც კი ვიცოდი რა, მაგრამ, ალბათ, ძალიან მნიშვნელოვანი ჩემთვის, შეიძლება ითქვას, ეტაპობრივი, გარდამტეხი, უცილობლად გასარკვევი სწორედ იმ საღამოსვე, რადგან იმპულსურად ვგრძნობდი, რომ ბედისწერა მადგა თავზე და მაკვირდებოდა, რამდენად მომზადებული ვიყავი, რამდენად ბეჯითი, შეპყრობილი, რამდენად ერთგული თუნდაც. ვერ დავიკვეხნი, ბევრი არაფერი გამეგებოდა არც თეატრზე და არც დრამატურგიაზე, მაგრამ, მახსოვს, რა ალტკინებით ვწერდი და ხალახლა ვიბრუნებოდი იმ [illegible] მიერ შემოღობებული, უიდუმალეს ბგერებად გამკრთალი ტექსტი კვლავაც ცხადად ჩამესმოდა ყურში. უჩვეულო სამყარო. თეატრი. შეიძლება ითქვას, თამაზ ჭილაძის თეატრი რუსთაველის თეატრში. ეს იყო საოცრად ორგანული და ბუნებრივი თანაარსებობა ლიტერატურისა და თეატრისა, სადაც ერთიცა და მეორეც საერთო საქმეს, ირეალურული სინამდვილის შექმნას ემსახურება. ჩემი სულიერი სამშობლოს კონტურები შევნიშნე თითქოს, ანდა, უფრო მეტიც, რუკა ჩამივარდა ხელში; რომელიც სრკაის სუსხიან სინამდვილეს გამარიდებდა და შინ დამაბრუნებდა. ეს დიდი აღმოჩენა იყო დიდ წყალობასთან ერთად. ამის შემდეგ ძალაუნებურად ხდები სხვა. ეს ბედისწერის ნიშანი გახლდათ.

როგორც ჩანს, ალღომ არ მიღალატა. ორი თუ სამი წლის შემდეგ ბიჭვინთის (იმჟამად სოხუმში ჩატარდა) ახალგაზრდა დრამატურგთა სემინარზე მიმიპატიჟეს, რომელსაც ბატონი თამაზი ხელმძღვანელობდა. სემინარი ჩემი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. წლიდან წლამდე ვგრძნობდი ბატონი თამაზის მზერაში დაკვირვებულ, დადარაჯებულ სხივს, რაც მოდუნების უფლებას არ მაძლევდა. ასე მხოლოდ უფროსი მეგობარი და მასწავლებელი (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით) გიცქერს. ეს მზერა უმთავრეს ღირებულებებს გახსენებს ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანაში, სადაც წიგნს შეგნებულად მოწყვეტილი ხალხი გაცულლუტებულ პოლიტიკოსთა ამარა დარჩენილა, გახსენებს, რომ ხორცთან ერთად სულიც გაგაჩნია, რომ გაქვს წარსული, რომელიც უნდა გვახსოვდეს, თუკი ღირსეულ მომავალზე ფიქრობ; რომ არსებობს ლიტერატურა და თეატრი, არა ტელევიზორის ჩარჩოდან სარეკლამო სიუჟეტის სიბრჭყვიალით მოწყვდილი, არამედ ნაღდი, მართალი, ნიჭიერი; რომ კიდევ სუნთქავს სადღაც შენი სულიერი სამშობლო, რომელიც იმპერიის სუსხში გამოვატარეთ და უცნაური, სრულიად გაუგებარი მიზეზის გამო დამოუკიდებლობის წლებში მივივიწყეთ...

თქვენს შემოქმედებაში, ბატონო თამაზ, ნოვაციასთან ერთად მუდამ იგრძნობოდა ის ფესვი, რაზეც დგას (და უნდა იდგეს კიდეც) ქართული ლიტერატურა; ხოლო, ვისაც თქვენთან ურთიერთობის ბედნიერება ხვდა წილად, არ შეიძლება, არ მოიხიბლოს იმ ცეცხლით, რაც ასე გაახალგაზრდავებთ და რასაც ნიჭიერებისკენ მუდამსწრაფული მისიონერის დაჟინებით ატარებთ თქვენს არსებაში.

**გილოცავთ, კიდევ მრავალჯერ მოგილოცავთ. პატივისცემითა და მადლიერების გრძნობით თქვენი**

ირაკლი სამსონაძე

## მწერლის მიკროქვეყანა

ვულოცავ თამაზ ჭილაძეს საიუბილეო თარიღს. მისი მშვენიერი და დიდი შემოქმედება ყოველთვის იყო და იქნება კულტურული ცხოვრების ერთი მნიშვნელოვანი ფურცელი. მწერლის მხატვრული ტექსტები ევროპეიზმისა და სიბრძნის ნამდვილი ნიმუშებია. ჯერაც ამოუწურავი და მისი მრავალმხრივი ტალანტი იშვიათობაა იმ მხრივაც, რომ ის, მიუხედავად მრავალწლიანი შემოქმედებითი ცხოვრებისა, დღესაც ახალგაზრდული მწერლური ემოციით არის დამუხტული და ყოველი ჩანაფიქრი მწერლისა, რომელიც სადღესასწაულო მუშხუნებივით ალამაზებს მიმდინარე ლიტერატურულ „ამინდს", იმედს გვიტოვებს, რომ თამაზ ჭილაძის მოღვაწეობა ჯერ დასასრულისკენ და დაშრეტისკენ ვერ წავა. მისი საინტერესო „მიკროქვეყანა" მასშტაბურ სივრცეებს ისაკუთრებს და რჩება მკითხველის ხსოვნაში. ვუსურვოთ მწერალს ხანგრძლივი სიცოცხლე და ჯანმრთელობა, სხვა დანარჩენი განგებისგან დიდი ხანია ნაბოძები აქვს.

**ბატონო თამაზ!**
**გილოცავთ დაბადების დღეს**

**პატივისცემით, ქეთევან შენგელია**



თამაზ ჭილაძე, ანა კალანდაძე

* * *



...დრო სავსეა ამბავთა კალეიდოსკოპური მდინარებით და უნაპიროდ, სივრცობრივად შეუზღუდავად მოედინება. ოღონდ, მისი მსვლელობა ხელოვნების მიერ მოქცეულია რიტმში, რომელიც არა მარტო აწესრიგებს მოძრაობას, არამედ გარკვეულ საზღვრებსაც უდგენს. განსაკუთრებულ აზრს ანიჭებს, უფრო სწორად — პოეზიად გარდაქმნის მას. ეს უკვე ყოფითი, ციკლური მონაცვლეობის ლოგიკით აღბეჭდილი დროა, რომლის უსაზღვროების, უკიდეგანო განფენილობის მიუხედავად, მაინც ვგრძნობთ, თუ როგორ მოძრაობს, როგორ გადადის ჯოჯოხეთის ერთი წრიდან მეორეში, სამოთხის წალკოტიდან უდაბნოში, ფიქრიდან ფიქრში, ჯადოსნური თვისების საღებავივით იხსნება და უერთდება სურვილთა სიჭრელეს. შეგვიძლია ვთქვათ: პოეზია ჩვენი ცხოვრებისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე მდინარის ტოტივით გადმოგდებული მარადისობაა.

პოეტისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს დროის მეტაფიზიკურად აღქმის უნარს. საბოლოოდ, ალბათ, ამაზეა დამოკიდებული ნაწარმოების სიცოცხლისუნარიანობა. „დრო, დრო აღნიშნე!" — ეს მონოდება კალენდარულ სიზუსტეს კი არ მოითხოვს, არამედ სულიერი მდგომარეობის ზუსტად გადმოცემას. რაც ყველაზე ნაკლებად, ალბათ, რეალისტური მეთოდით შეიძლება განხორციელდეს. აპოლინერი წერდა: „როდესაც ადამიანმა მოისურვა სიარულისათვის მიებაძა, მან შექმნა ბორბალი, რომელიც ფეხს არ ჰგავსო". ნამდვილი რეალიზმი სინამდვილის ასახვა კი არ არის, არამედ ახალი სინამდვილის შექმნა.

ამ ქვეყნად არაფერი ისე პირობითი არ არის, როგორც დროის ცნება. ამის შესახებ არაერთხელ გამოუთქვამთ აზრი დიდ მწერლებსა და ფილოსოფოსებს. მართლაც, ჩვენ, უბრალო მოკვდავნი, კარგად თუ დავაკვირდებით თუნდაც საკუთარ ცხოვრებას, შევამჩნევთ ამ სუბსტანციის აშკარა და დაუნდობელ, დრამატულსა და მაცდუნებელ პირობითობას. დროს ყველა სხვადასხვანაირად აღიქვამს, რადგან დრო იგივე ჩვენი ცხოვრებაა, ჩვენი „საკუთარი სიმართლე"...

ერთმა პოეტმა აღნიშნა, პოეზია საკუთარი სიმართლის შეცნობააო. თუკი ოდნავ გადავასხვაფერებთ ამ აზრს, შეიძლებოდა გვეთქვა — პოეზია არის საკუთარი დროის შეცნობა! მიუხედავად ასეთი, თითქოსდა უცნაური გადასხვაფერებისა, საბოლოო ჯამში, ეს ერთი და იგივეა. შენი საკუთარი სიმართლე შენი გააზრებული ცხოვრებაა, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ — შენი ბიოლოგიური არსებობის წიაღში ერთგვარად მოწესრიგებული სისტემის შემჩნევა ან აღმოჩენა.

საკუთარი სიმართლე და საკუთარი დრო — ეს ორი, ერთი შეხედვით, ერთმანეთთან სრულიად დაუკავშირებელი, უფრო მეტიც, — პოლარული ცნებები, საკვირველი ძალით ავსებენ და ხსნიან ერთიმეორეს...

თამაზ ჭილაძე

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ამერიკის დაცემა და მშვიდობა კავკასიაში

**გასულ კვირას ორი შესანიშნავი დოკუმენტის გამოქვეყნება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მათთვის, ვინც თვალს ადევნებს საქართველოს და ცენტრალური აზიის უშიშროებას. პირველი, უფრო ხმაურიანი დოკუმენტი სახელწოდებით „აშშ-ს უფრო აქტიურ დამოკიდებულებაზე საქართველოს კონფლიქტების მიმართ“, რომლის ავტორებიც არიან სემუელ ჩარაპი და კორი ველტი, CENTER FOR AMERICAN PROGRESS-მა, მემარცხენე მიმართულების კვლევითმა ორგანიზაციამ გამოაქვეყნა. მეორე, გეოსტრატეგიული-თემატური დოკუმენტია სახელწოდებით „პერიფერიების მოწყვლადობა“, რომელიც THE AMERICAN INTEREST-ის მარტი-აპრილის ნომერშია გამოქვეყნებული, ისეთი ექსპერტების თანაავტორობით, როგორებიც არიან ევროპული პოლიტიკის ანალიზის ცენტრის პრეზიდენტი ვეს მიტჩელი და ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტთან არსებული პოლ ნიცშეს საერთაშორისო ურთიერთობების სკოლის პროფესორი იაკობ გრიგლი.**

მართალია, ეს დოკუმენტები უშუალოდ ერთსა და იმავე მოვლენას არ ეხება, თუმცა აბსოლუტურად ურთიერთსაწინააღმდეგო არგუმენტებითაა გამყარებული, მაგრამ პოზიციის მიუხედავად, მათთვის ვისაც სამხრეთი კავკასიის პოლიტიკა აინტერესებს, ორივე დოკუმენტის წაკითხვა რეკომენდებულია.

ჩარაპის და ველტის ანგარიში, საქართველოს მყიფე კონფლიქტური სიტუაციის შეფასებისთვის თანამშრომლობისა და უზარმაზარი შრომის კულმინაციაა. ის მოიცავს პრაქტიკულ და ქმედით გზამკვლევს, რომელიც რეგიონს კონფლიქტების დარეგულირების გზაზე დააყენებს. დოკუმენტში ფხიზლადაა შეფასებული ადგილზე არსებული სიტუაცია, რეალური პოლიტიკური კლიმატი, მასში ჩართული ყველა მხარის ღია თუ ფარულ ინტერესთა ნიუანსები. დოკუმენტი აღწერს კონფლიქტის ზოგად ისტორიას, შემდეგ ღრმად აანალიზებს იმის მიზეზებს, თუ რატომ დადგა კონფლიქტების გადაწყვეტის უფრო აგრესიული პოლიტიკის დრო და, ბოლოს, უშუალოდ განიხილავს იმ სპეციფიურ გზებს, რომლითაც აშშ-ს რეგიონში საკუთარი გავლენის განმტკიცება და საერთაშორისო დონეზე კონფლიქტების გადაწყვეტისთვის უფრო კონსტრუქციული გარემოს შექმნა შეუძლია.

„თუმცა ენა, რომელსაც დღეს ამერიკელი ჩინოვნიკები იყენებენ, გვთავაზობს მხარეებს შორის შეურიგებელ სხვაობას, რაც გამორიცხავს ნებისმიერ პროგრესს და კვიპროსის სტილის, ხანგრძლივ გამოუვალ სიტუაციამდე მივყავართ“, – აღნიშნავენ ჩარაპი და ველტი, რომლებიც მკაფიოდ აცხადებენ, რომ, მათი აზრით, რეგიონში ამერიკული ძალისხმევა საბოლოო ჯამში კონტრპროდუქტიულია. „ეს უნდა შეიცვალოს“.

დოკუმენტში ბევრი რამ მოსაწონია, მათ შორის ავტორთა სურვილი აშშ-ს მთელი რიგი კონკრეტული წინადადებები შესთავაზონ იმისთვის, რომ რათა უკანასკნელმა დაანგრიოს ის, რასაც ავტორები გაქვავებულ და დიდწილად უნაყოფო სტატუს-კვოს უწოდებენ.

ანგარიშის არსი არის ის, რომ ხელი შეუწყოს ჩიხში მოქცეული და ანტაგონისტური სიტუციის გარდაქმნას ნდობის აღდგენის გამომუშავებაში. მართლაც, დოკუმენტის მთავარი წარმატება ის არის, რომ მასში მითითებულია გზა იმ რეალური მიზნების დაბალ ზღვრამდე, რომელსაც თეორიულად სიტუაციის გარკვეული ფორმის შეთანხმებამდე მიყვანა შეუძლია.

თუმცა მთავარი სისუსტეა ის, რომ, როგორც ჩანს, ავტორების აზრით რუსეთ-საქართველოს შორის თანხმობის და პრობლემის გადაწყვეტის მიღწევა შესაძლებელია იმ პირობებშიც, თუკი არც ერთი მხარე საკუთარ პოზიციას არ შეცვლის. ისინი აღნიშნავენ, რომ აშშ-ს დღევანდელი პოლიტიკა წარმოუდგენელ ვარაუდს ეფუძნება იმის თაობაზე, თითქოს „რუსეთი ოდესმე გააცნობიერებს იმას, რომ 2008 წლის ინტერვენცია, აღიარების გადაწყვეტილება და აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის მილიტარიზაცია შეცდომა იყო“ და „ამ სცენარში რუსეთი ნანობს და ტერიტორიებს ტოვებს, გმობს მის წარსულ სტრატეგიულ შეცდომებს და მადლობას უხდის ტრიუმფატორ ქართველებს იმისთვის, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში მართლები იყვნენ და მათ თამამად ადანაშაულებდნენ“.

მაგრამ, თუკი ეს არ არის პრობლემის გადაწყვეტის მათი ვერსია, მაშინ რას გვთავაზობენ? გარდა იმისა, რომ ავტორები ერთგვარ მოკლევადიან შეთანხმებამდე მიდიან და მინიმუმამდე დაჰყავთ აგრესიული რიტორიკა, გაურკვეველი რჩება, თუ რა ფორმა შეიძლება მიიღოს ამ სავარაუდო შეთანხმებამ. მართალია, რეგიონში დაძაბულობის განმუხტვა, რაღა თქმა უნდა, თავისთავად მნიშვნელოვანი ამოცანაა, თუმცა პოლიტიკური კაპიტალი რომელიც აუცილებელია იმ შედარებით მოკრძალებული პროგრამის რეალიზაციისთვის, რომელსაც ისინი დოკუმენტში აღწერენ, მარტივად მოსაძებნი არ არის, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც დიდი მიზნისკენ მიმავალი სურათი არ ჩანს.

მაგრამ ანგარიშის, ალბათ, ყველაზე რთულად მოსანელებელი პუნქტი მისი წინაპირობაა, რომ თითქოს პოლიტიკური სარკმელი ღიაა, რაც იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ კონფლიქტის მოგვარების ზოგიერთმა გზამ ფესვები უფრო ღრმად გაიდგას. ეს იდეა დიდწილად იმ მოსაზრებას ეფუძნება, რომ რუსეთი და საქართველო ისევე, როგორც თავად კონფლიქტური რეგიონები; გარკვეული დათმობებისთვის მზად არიან, მაგრამ მაშინ, როდესაც საქართველო, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ერთს ამბობს და მეორეს ფიქრობს, თითქოს იხრება უფრო პროგრესული და ჩართულობაზე ორიენტირებული პოლიტიკისკენ, მოსკოვის მხრიდან მსგავსი რამ არ შეიმჩნევა, რომ აღარაფერი ვთქვათ მის მეგობრებზე ცხინვალიდან და სოხუმიდან. მართალია ანგარიში აღიარებს რუსეთთან ურთიერთობების აღდგენაში თბილისის საპასუხო მზადყოფნას, თუმცა ავტორები რუსეთის მხრიდან მსგავსი მაგალითების სიმწირეს განიცდიან – თუ არ ჩავთვლით ისეთ გამონაკლისს, როგორიცაა რუსული არმიის პერევიდან გასვლა, მაგრამ ეს საკმარისია იმის დეკლარირებისთის, რომ შემრიგებლური ღონისძიებების დრო დადგა?

ჩარაპი და ველტი ამცირებენ იმ მოსაზრების მნიშვნელობას, რომ რუსეთი შეუწყნარებელია საქართველოს სრული სუვერენიტეტის მიმართ და ანგარიშში ძალიან მწირადაა წარმოდგენილი ამ ფართოდ გავრცელებული მოსაზრების საპირისპირო მტკიცებულებები. რუსეთი საკმაოდ ღიად გამოხატავს საკუთარ მისწრაფებებს იმის თაობაზე, რომ მხარს დაუჭერს საკუთარ პოლიტიკურ, კულტურულ და სოციალურ დომინირებას მის ე.წ. „ახლო საზღვარგარეთში“. თუკი ამ მოსაზრებას დავუჯერებთ, მაშინ მორიგება საქართველოს და რუსეთს შორის ფაქტობრივად შეუძლებელია, თუ არ ჩავთვლით რაიმე „სასწაულს“, რომელსაც ისინი თავად დასცინიან. Evolutsia.Net სულ რაღაც რამდენიმე თვის წინათ სწორედ ამ შეუთავსებელი ინტერესების შესახებ დაწვრილებით წერდა (როდესაც ბოლოს ჩარაპმა და ველტმა კონსტრუქციულ კურსზე რეკომენდაციები გამოაქვეყნესძ.



ამ კონტექსტში განვიხილავთ მიტჩელის და გრიგლის ესეს The American Interest-ში. დოკუმენტში ავტორები განიხილავენ ამერიკის დაცემასთან დაკავშირებულ სულ უფრო მზარდ განცდას საერთაშორისო არენაზე და მის გავლენას საერთაშორისო პოლიტიკაზე. უფრო კონკრეტულად ისინი აღნიშნავენ, რომ არსებობს ამერიკის გლობალური ჰეგემონიის სამი მთავარი პრობლემური ხაზი (ახლო აღმოსავლეთი, აღმოსავლეთი ევროპა, ცენტრალური აზია და წყნარი ოკეანის რეგიონიძ, რომლებსაც შეიძლება ვუწოდოთ აშშ-ს ძალაუფლების „პერიფერიები“. ეს სწორედ ის რეგიონებია, სადაც ამერიკის მოწყვლადობა ყველაზე დიდია და სადაც ამერიკული ძალაუფლება ყველაზე თანმიმდევრულ გამოცდას გადის.

„ამერიკის დაცემაზე საყოველთაოდ გავრცელებული თეზისის პირობებში, ამერიკის გლობალური მოწინააღმდეგეები აკეთებენ იმას, რასაც პრეტენდენტი ზესახელმწიფოები აკეთებდნენ ათასწლეულების გარდამავალ მომენტებში: ჰიპოთეზის ტესტირებას“.

„ისინი წამყვან სახელმწიფოს ცდიან მისი ძალაუფლების საგარეო ზღვარზე, სადაც ამ უკანასკნელის სტრატეგიული „დანამატები“ ყველაზე მოწყვლადია და მისი ძალა ყველაზე სუსტადაა გავრცელებული“, – ამბობენ ავტორები.

დოკუმენტის თანახმად, არსებობს მთელი რიგი გზები, რომელსაც რევიზიონისტულმა სახელმწიფოებმა ამერიკული მოწყვლადობის ზონდირებისთვის შეიძლება მიმართონ. ყველაზე დაბალი რისკი – მათი მხრიდან აგრესიული რიტორიკის გამოყენება ან სავაჭრო რეჟიმების ცალმხრივად შეცვლაა. ყველაზე მაღალი რისკი შეიძლება პირდაპირ კონფლიქტსაც მოიცავდეს.

„შესაძლოა, ყველაზე ნათელი მაგალითი 2008 წლის აგვისტოში რუსეთის საქართველოში ინტერვენციაა“, – ამტკიცებენ მიტჩელი და გრიგილი. „რუსული არმიის მიერ პოსტცივიომისეული უსაფრთხოების წესრიგის საზღვრების მკვეთრმა გადასინჯვამ აშშ-ს ეფექტიანი საპასუხო რეაქციის გარეშე, აშშ-ს ინტერესებისთვის ნაკლებად ღირებული გამოწვევის მკაფიო პრეცედენტი შექმნა“.

და სწორედ ეს არის ის ადგილი, სადაც მიტჩელის და გრიგლის დოკუმენტი ჩარაპის და ველტის დოკუმენტს კვეთს, თუკი რუსეთი ამერიკის ჰეგემონიის საგარეო ლიმიტების ტესტირებას ახდენს (2008 წლის აგვისტოს ომის შემთხვევაში ძალიან აგრესიულადძ, შეუძლია კი მას ოდესმე კონსტრუქციული როლი შეასრულოს საქართველოს კონფლიქტის მოგვარების საქმეში. ან, მაგალითად, სხვა ისეთ ადგილებში, როგორებიცაა მთიანი ყარაბახი და დნესტრისპირეთი?

მართალია, აბსოლუტურად შესაძლებელი და რეალურიც კია, რომ დასავლეთმა და საქართველომ შემთხვევით ტაქტიკურ გამარჯვებებს მიაღწიონ ისეთ სფეროებში, როგორიცაა საზღვრების გადაკვეთის რეჟიმის ლიბერალიზაცია ან მორიგი ნაბიჯის გადადგმა 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ვალდებულებებისადმი ერთგულების თვალსაზრისით, თუმცა ჩარაპის და ველტის ვარაუდი, რომ რუსეთი იზიარებს დასავლეთის მისწრაფებას სრული მშვიდობის მიღწევაზე, შეიძლება დიდწილად დაუსაბუთებელი იყოს. მეტიც, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ნებისმიერი პროგრესი რომელიც შეიძლება მიღწეული იქნეს პერიფერიებზე, სწრაფად და მოულოდნელად შეიცვალოს, თუკი ის რუსეთის უფრო დიდ სტრატეგიულ მიზანს (რეგიონში დომინირების აღდგენაძ დაუპირისპირდება.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველომ, აშშ-მ და სხვა საერთაშორისო პარტნიორებმა არ უნდა განავითარონ უფრო შემრიგებლური კურსი კონფლიქტური რეგიონების და რუსეთის მიმართ (საზღვრისპირა მოსახლეობისთვის ცხოვრების გაუმჯობესების შესაძლებლობაძ, ან ის რომ სამხრეთი ოსეთის და აფხაზეთის მოსახლეობასთან ნდობის აღდგენა დღის წესრიგიდან უნდა მოიხსნას. ერთი აშკარა ხარვეზი ანგარიშში არის ის, რომ დოკუმენტი საქართველოს სრული დაუცველობისკენ მოუწოდებს (ბუნებრივი ხერხებით ან სხვაგვარადძ მაშინ როდესაც მხოლოდ სიმბოლურად საუბრობს რუსეთის არმიის გაყვანაზე, რომელსაც საქართველოს საზღვრებთან დაახლოებით 100 000-იანი ფედერალური არმია და შეტევითი შეიარაღების სისტემები აქვს განთავსებული.

ჩარაპის და ველტის ანგარიში მოსაწონია რეგიონისადმი პერსპექტიული მიდგომის გამო, რომელიც ფოკუსირებულია საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობაზე, საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებსა და რუსეთზე, მაგრამ შესაძლოა ნაადრევია იმის დეკლარირება, რომ რუსეთი მონდომებული და საღად მოაზროვნე პარტნიორია, როგორც ეს მათ ანგარიშშია წარმოდგენილი. მეორე მხრივ, მიტჩელის და გრიგლის ესსე რეალისტურ და დამაჯერებელ ისტორიას მოგვითხრობს იმის თაობაზე, თუ როგორ და რატომ წარმოადგენს რუსეთის რეგიონალური პოზიცია გაცილებით ფუნდამენტურ პრობლემას, ვიდრე ამას ბევრი მეთვალყურე აღიარებს.

EURASIANET.org

## დედამიწის ზურგზე



**ბინ-ლადენმა მოუწოდა მთელ მსოფლიოს ბოევიკებს, არ მოაწყონ ტერაქტები მუსლიმანების წინააღმდეგ**

ტერორისტების ლიდერმა მოუწოდა მთელი მსოფლიოს ბოევიკებს „დაიცვან შარიათის კანონები და მუსლიმანების ინტერესები მანამ, სანამ დაიწყებდნენ ჯიჰადის რაიმე ოპერაციას“. ბინ-ლადენის მოადგილემ აიმან აზ-ზავახირიმ ასევე აღნიშნა, რომ „ალ-ყაიდას“ ბოევიკებს მონაწილეობა არ მიუღიათ ეგვიპტეში ქრისტიანული ეკლესიასთან განხორციელებულ ტერორისტულ აქტში, როდესაც ოცზე მეტი კაცი დაიღუპა.

* * *

**რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გამოაქვეყნეს ცნობები იმის შესახებ, თუ პუტინი ბრიუსელში როგორ უპასუხებდა ბაროზუს და უგემურად ხუმრობდა**




ბაროზუს სიტყვების შემდეგ: „რუსეთის ენერგეტიკა ევროპის აყვავების საწინდარია“, პუტინმა განაცხადა, რომ ამაზე შეიძლებოდა უკვე დაგვემთავრებინა პრესკონფერენცია, „რომ მოლაპარაკების დროს არ ყოფილიყო განსახილველი სხვა თემები“. პუტინი დაიმუქრა გაზის გაძვირებით, თუ „გაზპრომს“ ჩამოართმევენ ქსელს.

* * *

**ლიბიაში შეტაკებანი ომში გადაიზარდა: კადაფის დამსჯელებმა ქალაქში მოაწყვეს მხეცური ანგარიშსწორება**



მეამბოხეებმა კონტროლზე აიყვანეს ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი და დასავლეთისკენ მიემართებიან. ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ კადაფის რეჟიმი მალე დაემხობა. იგი დღემდე ინარჩუნებს ტრიპოლს, წინა დღით კი ჯარები და დამსჯელები გაგზავნა ქალაქ ეზ-ზავიაში მკაცრი ოპერაციის განსახორციელებლად.

* * *

**ალასკაზე აღმოაჩინეს ბავშვის ნეშტი, რომელიც ცხოვრობდა „ყინულოვანი პერიოდის ბოლოს“**

ასეთი ძველი ნეშტი, რომელიც გონიერ ადამიანს ეკუთვნოდა, ჩრდილოეთი ამერიკის არქტიკულ რეგიონში ჯერჯერობით არავის აღმოუჩენია, პატარას ეკავა დიდი მდგომარეობა: მისი ცხედარი დაწვეს კოცონზე ქოხის ცენტრში და იქვე დაკრძალეს. უფრო ძველი და იმდროინდელი სადგომები დღემდე აღმოჩენილია მხოლოდ რუსეთში, კამჩატკაზე.



## ცისფერი ეკრანი: კულტურა, სპორტი

რას ვუყურებთ შაბათს, კვირას, ორშაბათს



**26 თებერვალი, შაბათი**

I არხი
10.00 მხ. ფილმი „ელმოს თავგადასავალი ბუზღუნეთში“
12.30 კონცერტი – მ. კვალიაშვილი, 1-ლი ნაწ.
14.00 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. „სოხუმი“ – „არმია“
17.00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი
18.00 კონცერტი – „შინი“ ეგარი
18.50 რაგბი. ერთა თასის გათამაშება: პორტუგალია – საქართველო
22.00 ქართ. სერიალი „კა-17“
23.00 სერიალი „ფარი“
00.00 მხ. ფილმი „დავიწყებული“
03.00 მხ. ფილმი „იცოცხლე, გენაცვალე“

II არხი
20.00 მხ. ფილმი „ხალხი ლარი ფლინტის წინააღმდეგ“
00.40 მხ. ფილმი „იცოცხლე, გენაცვალე“

იმედი
09.15 მხ. ფილმი „ზოლიანი ჩემპიონი“
11.10 სერიალი „ურჩხულებთან მებრძოლები“
11.45, 22.00 ქართ. სერიალი „შუა ქალაქში“
12.35, 18.45 სერიალი „ლოზას საიდუმლო“
16.00 სერიალი „მონტეს ოჯახი“
17.40 სერიალი „სიყვარულის ზღვა“
21.00 სერიალი „ქალბატონი“
22.00 ქართ. სერიალი „შუა ქალაქში“
23.00 სტუმრად იუმორინასთან
00.00 სერიალი „მკვლელის პორტრეტი“ (1-ლი სერ.ძ
01.00 მხ. ფილმი „სიზრმავე“ (სუბტიტრ.ძ
03.25 მხ. ფილმი „ლამაზი ქალი“ (სუბტიტრ.ძ
05.40 მხ. ფილმი „სიკვდილის შემდეგ“ (სუბტიტრ.ძ

რუსთავი-2
10.00 სერიალი „ლეგენდა მაძიებელზე“
12.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა
13.00 მხ. ფილმი „აბა“
15.30 ქართ. ფილმი „ლონდრე“
19.50 სერიალი „ელენეს მოჩენება“
22.00 კონცერტი „სხვა კონცერტი“
23.00 სერიალი „ექიმი ჰაუსი“
00.00 მხ. ფილმი „ვარსკვლავები ყინულზე“
02.30 მხ. ფილმი „მერვე მილი“

მზე
08.00 მხ. ფილმი
12.00 სერიალი „ვერონიკა მარსი“
14.00 სერიალი „ელიზა“
15.00 მხ. ფილმი
18.00 მხ. ფილმი
20.00 სერიალი „ტაქსის მძღოლი“
21.00 სერიალი „სი ეს აი“
22.00 მხ. ფილმი (სუბტიტრ.ძ
00.00 მხ. ფილმი (სუბტიტრ.)

აჭარა
09.30, 23.00 სერიალი „დაცვის უფლება“
12.30, 21.00 სერიალი „იდუმალი სტუმარი“
13.15, 19.30 სერიალი „დიდი ტურინი“
16.30 სერიალი „წყეული მეფეები“
00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება
12.15 მხ. ფილმი „ცარიელი ბინა“
15.10 ოპერა
19.30 მხ. ფილმი „როცა აყვავდა ნუში“
00.25 მხ. ფილმი „ეი, მაესტრო!“

საქართველო
11.00 სერ. „ბრიგადა“
12.00 მხ. ფილმი „უ 571“
14.00 მხ. ფილმი „წითელი განთიადი“
16.00 მხ. ფილმი „უსახელო ნაძირალები“
18.45 მხ. ფილმი „მშვიდობისმყოფელი“
21.00 მხ. ფილმი „ზამთარი ომში“
22.45 მხ. ფილმი „ბანდიტები“
00.25 მხ. ფილმი „ნათება“

GMG ჰოლივუდი
10.00 მხ. ფილმი „შერლოკ ჰოლმსი“
12.00 მხ. ფილმი „ეშმაკი ატარებს „პარადს“
14.00 მხ. ფილმი „ფრანგული ამბორი“
16.00 მხ. ფილმი „წარმოუდგენელნი“
18.00 მხ. ფილმი „სიამაყე და დიდება“
20.00 მხ. ფილმი „საერთაშორისო აგენტი“
22.00 მხ. ფილმი „წინასწარმეტყველი“
00.00 მხ. ფილმი „სასიკვდილო რბოლა“

GMG კინოგურმანი
10.00 მხ. ფილმი „მერკურის ამოსვლა“
12.00 მხ. ფილმი „საგანგებო ზომები“
14.00 მხ. ფილმი „შავი გეორგინა“
16.00 მხ. ფილმი „ცოფიანი ხარი“
18.00 მხ. ფილმი „ფანატიკოსი“
20.00 მხ. ფილმი „ორთაბრძოლა“
00.00 მხ. ფილმი „ირმებზე მონადირე“

რეგიონი TV – ალანია
12.00 მხ. ფილმი „ფიჭური“
13.35 მხ. ფილმი „რიტმი გეჭიროს“
15.25, 00.30 მხ. ფილმი „სოლტი“
17.45 მხ. ფილმი „დომინო“
20.50 მხ. ფილმი „მეგობარზე მეტი“
22.30 მხ. ფილმი „ეული გულები“

**27 თებერვალი, კვირა**

I არხი
10.00 მხ. ფილმი „ჯუმანჯი“
12.30 კონცერტი – მ. კვალიაშვილი (მე-2 ნაწ.ძ
14.30 სპექტაკლი „ბნელ ოთახში“
18.00 მხ. ფილმი „ნუცას სკოლა“
23.00 სერიალი „ფარი“
01.00 მხ. ფილმი „ცხოველი“

II არხი
22.00 მხ. ფილმი „ქალი და მამაკაცი“
01.00 მხ. ფილმი „დრაკულა“

იმედი
12.00, 22.00 ქართ. სერიალი „შუა ქალაქში“
13.00 სერ. „რობინზონ კრუზოს თავგადასავალი“
15.00 მხ. ფილმი „არაჩვეულებრივი გამოფენა“
19.05 ქართ. სერ. „გოგონა გარეუბნიდან“
20.30 სტუმრად იუმორინასთან
00.00 სერ. „მკვლელის პორტრეტი“
01.00 მხ. ფილმი „ვარსკვლავთა დაბადება“ (სუბტიტრ.ძ
03.10 მხ. ფილმი „სხეულის გამტაცებლები“ (სუბტიტრ.ძ
04.35 მხ. ფილმი „პირდაპირი მოქმედება“ (სუბტიტრძ.

რუსთავი-2
13.00 მხ. ფილმი „ბიმბოლენდი“
15.20 სერიალი „სიამაყე“
21.00 კონცერტი „იუმორისტული 2011“
22.00 სერიალი „ბიზნესი მაღალ ქუსლებზე“
23.00 სერიალი „ექიმი ჰაუსი“
00.00 მხ. ფილმი „პირდაპირი და აშკარა საფრთხე“
02.20 მხ. ფილმი „უცნაური მეცნიერი“

მზე
08.00 მხ. ფილმი
12.00 სერიალი „ვერონიკა მარსი“
14.00 მხ. ფილმი „ელიზა“
15.00 მხ. ფილმი
18.00 მხ. ფილმი
20.00 სერიალი „ტაქსის მძღოლი“
21.00 სერიალი „სი ეს აი“
22.00 მხ. ფილმი (სუბტიტრ.ძ
00.00 მხ. ფილმი (სუბტიტრიძ

აჭარა
09.30.23.00 სერ. „დაცვის უფლება“
12.00, 21.00 სერ. „იდუმალი სტუმარი“
16.30 სერიალი „წყეული მეფეები“
19.30 სერიალი „დიდი ტურინი“
00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება
12.15 მხ. ფილმი „როცა აყვავდა ნუში“
19.30 მხ. ფილმი „პასტორალი“

საქართველო
11.00 სერიალი „ბრიგადა“
12.00 მხ. ფილმი „ომის ხელოვნება“
14.00 მხ. ფილმი „ანგელოზის ჩანჩქერი“
16.00 მხ. ფილმი „რიგითი რაიანის გადასარჩენად“
19.05 მხ. ფილმი „მეცხრამეტე რაიონი“
21.00 მხ. ფილმი „პოსეიდონი“
22.45 მხ. ფილმი „სიყვარულით მექსიკიდან“
00.30 მხ. ფილმი „გულის დანაშაული“

GMG ჰოლივუდი
10.00 მხ. ფილმი „ეშმაკი ატარებს „პარადს“
12.00 მხ. ფილმი „ფრანგული ამბორი“
14.00 მხ. ფილმი „წარმოუდგენელი“
16.00 მხ. ფილმი „სიამაყე და დიდება“
18.00 მხ. ფილმი „კანონმორჩილი მოქალაქე“
20.00 მხ. ფილმი „კარიბის ზღვის მეკობრეები“
22.00 მხ. ფილმი „საერთაშორისო აგენტები“
00.00 მხ. ფილმი „წინასწარმეტყველება“

GMG კინოგურმანი
10.00 მხ. ფილმი „საგანგებო ზომები“
12.00 მხ. ფილმი „შავი გეორგინა“
14.00 მხ. ფილმი „ცოფიანი ხარი“
16.00 მხ. ფილმი „ფანატიკოსი“
18.00 მხ. ფილმი „შუაღამემდე“
20.00 მხ. ფილმი „გააანალიზე ის“
22.00 მხ. ფილმი „კაზინო“
00.00 მხ. ფილმი „ორთაბრძოლა“

რეგიონი TV – ალანია
11.05 მხ. ფილმი „გამოიცანი ვინ“
12.50 მხ. ფილმი „ქალები“
14.40 მხ. ფილმი „ერთხელ რომში“
16.10 მხ. ფილმი „დღე, როცა დედამიწა გაჩერდა“
18.05 მხ. ფილმი „სიყვარული ხდება ხოლმე“
21.10 მხ. ფილმი „კაზინო „ჯელი“
22.55 მხ. ფილმი „დაუნდობელი შტორმი“
00.40 მხ. ფილმი „შინდლერის სია“

**26 თებერვალი, ორშაბათი**

I არხი
15.00, 21.00 სერიალი „ტკბილი, მწარე ცხოვრება“
00.30 მხ. ფილმი „ორკვირიანი შეტყობინება“

II არხი
09.00 მხ. ფილმი „ჯუმანჯი“
20.00 მხ. ფილმი „ნუცას სკოლა“
01.00 მხ. ფილმი „ცხოველი“

რუსთავი -2
10.00 სერიალი „სასოწარკვეთილი დიასახლისები“
11.00 სერიალი „მიმწყვდეული“
12.30 სერიალი „შენ ჩემი სიცოცხლე ხარ“
15.30 სერიალი „ჩვენი ოფისი“
16.00 სერიალი „სიყვარულის საიდუმლო“
16.50 სერიალი „მორენას ვნება“
18.30 სერიალი „გაორება“
18.50 სერიალი „დანიელა“
19.50 სერიალი „ელენეს მოჩვენება“
22.00 ოსკარი – 2011
00.00 საფეხბურთო ღამე
01.00 მხ. ფილმი „რემბო“

მზე
09.00 სერიალი „ჩენტო ვეტრინე“
11.00, 20.00 სერიალი „დაუნდობელი სამყარო“
12.00, 20.00 „გაუხსნელი საქმე“
15.20 სერიალი „ორნახევარი კაცი“
17.00 მხ. ფილმი
19.00 სერიალი „ვნებათა ღამე“
20.00 სერიალი „დაუნდობელი სამყარო“
22.00 მხ. ფილმი
00.00 მხ. ფილმი

იმედი
10.00 სერიალი „სილამაზის მსხვერპლი“
11.50 სერიალი „ბოშები“
13.00,18.45 სერიალი „ლოზას საიდუმლო“
16.00 სერიალი „მონტეს ოჯახი“
17.40 სერიალი „სიყვარულის ზღვა“
21.00 სერიალი „ქალბატონი“
22.00 სტუმრად იუმორინასთან
23.30 მხ. ფილმი „მინდა გახსოვდე“ (სუბტიტრ.ძ
03.15 მხ. ფილმი „ველური ორქიდეა“ (სუბტიტრ.ძ

აჭარა
09.30, 23.00 სერიალი „დაცვის უფლება“
11.50, 21.00 სერიალი „იდუმალი სტუმარი“
12.50, 19.30 სერიალი „დიდი ტურნირი“
16.30 სერიალი „წყეული მეფეები“
00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება
12.10 მხ. ფილმი „პასტორალი“
19.15 მხ. ფილმი „ელისო“
23.15 მოკლემ. ფილმი „მეზობლები“

საქართველო
09.00, 13.05 სერიალი „ელიტური რაზმი“
11.15 სერიალი „შესანიშნავი შვიდეული“
13.05 მხ. ფილმი „ელიტური რაზმი“
14.00 მხ. ფილმი „მემფისელი ლამაზმანი“
15.50 მხ. ფილმი „ნადირობა „წითელ ოქტომბერზე“
18.20 მხ. ფილმი „ბრძოლა“
20.10 სერიალი „თავისუფლებისთვის დაბადებული“
21.45 მხ. ფილმი „დედოფალი მარგო“
00.35 მხ. ფილმი „საშიში კაცი“

GMG ჰოლივუდი
10.00 მხ. ფილმი „წინასწარმეტყველება“
12.00 მხ. ფილმი „წარმოუდგენელი“
14.00 მხ. ფილმი „სიამაყე და დიდება“
16.00 მხ. ფილმი „კანონი და მოქალაქე“
18.00 მხ. ფილმი „სასიკვდილო ბრძოლა“
20.00 მხ. ფილმი „როგორ მოვიშოროთ ბიჭი 10 დღეში“
22.00 მხ. ფილმი „კარიბის ზღვის მეკობრეები“
00.20 მხ. ფილმი „საერთაშორისო აგენტი“

GMG კინოგურმანი
10.00 მხ. ფილმი „ნიუ-იორკი, ნიუ-იორკი“
12.00 მხ. ფილმი „ცოფიანი ხარი“
14.00 მხ. ფილმი „ფანატიკოსი“
16.00 მხ. ფილმი „შუაღამემდე“
18.00 მხ. ფილმი „ირმებზე მონადირე“
20.00 მხ. ფილმი „პირადი მცველი“
22.00 მხ. ფილმი „გააანალიზე ის“
00.00 მხ. ფილმი „კაზინო“

რეგიონი TV – ალანია
09.45, 19.45 სერიალი „უშნო ბეტი“
11.45 მხ. ფილმი „ხალხი იქსი“
13.25 მხ. ფილმი „დაუპატიჟებელი სტუმარი“
15.50, 00.40 მხ. ფილმი „ჩემი ოცნების პაემანი“
17.55 მხ. ფილმი „ადრენალინი“
22.05 მხ. ფილმი „შვებულება გაცელით“.



**26 თებერვალი, 2011წ.**

კინოთეატრი რუსთაველი (დარბაზი 1ძ
12:15 - „ვიკრუტასები“ - (6 ლარიძ
14:15 - „ვიკრუტასები“ - (7 ლარიძ
16:15 - „ვიკრუტასები“ - (8 ლარიძ
18:15 - „ვიკრუტასები“ - (8 ლარიძ
20:15 - „ვიკრუტასები- (10 ლარიძ
22:15 - „ვიკრუტასები- (10 ლარიძ
რუსთაველის გამზ. 5 ტელ: 932-253, 555-000

კინოთეატრი რუსთაველი (დარბაზი 2ძ
13:00 - „ტურისტი“ - (6 ლარიძ
15:00 - „ტურისტი“ - (7 ლარიძ
17:00 - „ტურისტი“ - (8 ლარიძ
19:30 - „ტურისტი“ - (10 ლარიძ
22:00 - „ტურისტი“ - (10 ლარიძ
რუსთაველის გამზ. 5 ტელ: 932-253, 555-000

კინოთეატრი „ამირანი„ (დიდი დარბაზიძ
12:00 - „გულივერი“ 3D - (8 ლარიძ
14:00 - „გულივერი“ 3D - (10 ლარიძ
16:00 - „ვიკრუტასები“ - (8 ლარიძ
18:00 - „ვიკრუტასები“ - (8 ლარიძ
20:00 - „ვიკრუტასები“ - (10 ლარიძ
22:15 - „ვიკრუტასები“ - (10 ლარიძ
კოსტავას ქ. 36 ტელ: 99-99-55

კინოთეატრი „ამირანი„ (მცირე დარბაზიძ
12:15 - „ვიკრუტასები“ - (6 ლარიძ
14:15 - „ვიკრუტასები“ - (7 ლარიძ
16:15 - „გარიგება 2“ - (7 ლარიძ
18:15 - „გარიგება 2“ - (8 ლარიძ
20:15 - „გარიგება 2“ - (10 ლარიძ
22:00 - „გული +“ - (10 ლარიძ
კოსტავას ქ. 36 ტელ: 99-99-55

რუსთაველის თეატრი (დიდი სცენაძ
19:45 - „ბიდერმანი და ცეცხლისწამკიდებელნი“ - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარიძ რუსთაველის გამზ. 17 ტელ: 72-68-68

მარჯანიშვილის თეატრი
20:00 - „ხანუმა“ - (ბილეთის ფასი - 4 - 11 ლარიძ მარჯანიშვილის ქ. 8 ტელ: 955-966

მარჯანიშვილის თეატრი (თეატრი სხვენშიძ
20:00 - „ტყუილ-მართალი“ - (ბილეთის ფასი - 11 ლარიძ მარჯანიშვილის ქ. 8 ტელ: 955-966

თავისუფალი თეატრი
19:00 - „ღმერთო! დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები“ - (ბილეთის ფასი - 5, 10 ლარიძ რუსთაველის 2 ტელ: 98-58-21

თუმანიშვილის თეატრი
19:00 - „გოდოს მოლოდინში“ (პრემიერაძ - (ბილეთის ფასი - 10 ლარიძ დ. აღმაშენებლის გამზ. 164 ტელ: 34-28-99

ილიას უნივერსიტეტის თეატრი
19:00 - „ჭკუისა მჭირს“ - (ბილეთის ფასი - 5 ლარიძ ი. ჭავჭავაძის გამზ. 32. ტელ: 29-47-15

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
19:00 - „აკრძალული თამაშები“ (პრემიერაძ - (ბილეთის ფასი - 10 ლარიძ აღმაშენებლის გამზ. 182 ტელ: 34-80-90

ახმეტელის თეატრი
19:00 - „ვერაგობა და სიყვარული“ - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარიძ ვეკუას ქ. 8 ტელ: 62-59-73, 62-61-97

გაბრიაძის თეატრი
19:00 - „სტალინგრადის ბრძოლა“ (რუსულ ენაზეძ (12 - (ბილეთის ფასი - 5, 8, 10, 15 ლარიძ შავთელის ქ. 13, ტელ: 98-65-90

გრიბოედოვის თეატრი
18:00 - „მამაკაცის მოკვლა“ (პრემიერაძ - (ბილეთის ფასი - 5 ლარიძ რუსთაველის გამზ. 2 ტელ: 93-11-06

თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი
12:00 - „ალისფერი ყვავილი“
15:00 - „წითელქუდა და ერთი გოჭი“ - (ბილეთის ფასი - 5 ლარიძ დ. აღმაშენებლის გამზ. 99/1 ტელ: 95-78-74, 95-39-27

**27 თებერვალი, 2011წ.**

კინოთეატრი რუსთაველი (დარბაზი 1ძ
12:15 - „ვიკრუტასები“ - (6 ლარიძ
14:15 - „ვიკრუტასები“ - (7 ლარიძ
16:15 - „ვიკრუტასები“ - (8 ლარიძ
18:15 - „ვიკრუტასები“ - (8 ლარიძ
20:15 - „ვიკრუტასები“ - (10 ლარიძ
22:15 - „ვიკრუტასები“ - (10 ლარიძ
რუსთაველის გამზ. 5 ტელ: 932-253, 555-000

კინოთეატრი რუსთაველი (დარბაზი 2ძ
13:00 - „ტურისტი“ - (6 ლარიძ
15:00 - „ტურისტი“ - (7 ლარიძ
17:00 - „ტურისტი“ - (8 ლარიძ
19:30 - „ტურისტი“ - (10 ლარიძ
22:00 - „ტურისტი“ - (10 ლარიძ
რუსთაველის გამზ. 5 ტელ: 932-253, 555-000

კინოთეატრი რუსთაველი (დარბაზი 3ძ
12:30 - „გული +“ - (6 ლარიძ
14:30 - „გული +“ - (7 ლარიძ
16:30 - „გული +“ - (7 ლარიძ
18:30 - „გული +“ - (8 ლარიძ
20:30 - „გული +“ - (10 ლარიძ
22:15 - „გული +“ - (10 ლარიძ
რუსთაველის გამზ. 5 ტელ: 932-253, 555-000

კინოთეატრი „ამირანი„ (დიდი დარბაზიძ
12:00 - „გულივერი“ 3D - (8 ლარიძ
14:00 - „გულივერი“ 3D - (10 ლარიძ
16:00 - „ვიკრუტასები“ - (8 ლარიძ
18:00 - „ვიკრუტასები“ - (8 ლარიძ
20:00 - „ვიკრუტასები“ - (10 ლარიძ



22:15 - „ვიკრუტასები„ - (10 ლარიძ
კოსტავას ქ. 36 ტელ: 99-99-55

კინოთეატრი „ამირანი„ (მცირე დარბაზიძ
12:15 - „ვიკრუტასები“ - (6 ლარიძ
14:15 - „ვიკრუტასები“ - (7 ლარიძ
16:15 - „გარიგება 2“ - (7 ლარიძ
18:15 - „გარიგება 2“ - (8 ლარიძ
20:15 - „გარიგება 2“ - (10 ლარიძ
22:00 - „გული +„ - (10 ლარიძ
კოსტავას ქ. 36 ტელ: 99-99-55

რუსთაველის თეატრი (დიდი სცენაძ
19:45 - „კაცია-ადამიანი?!“ - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარიძ რუსთაველის გამზ. 17 ტელ: 72-68-68

მარჯანიშვილის თეატრი
20:00 - „ანტიგონე“ - (ბილეთის ფასი - 4 - 11 ლარიძ მარჯანიშვილის ქ. 8 ტელ: 955-966

მარჯანიშვილის თეატრი (თეატრი სხვენშიძ
20:00 - „ჩემი ჰამლეტი“ - (ბილეთის ფასი - 11 ლარიძ მარჯანიშვილის ქ. 8 ტელ: 955-966

თავისუფალი თეატრი
14:00 - „ბრემენელი მუსიკოსები“ (მუსიცალური წარმოდგენაძ - (ბილეთის ფასი - 5, 7 ლარიძ19:00 - „მშვენიერი ქართველი ქალი“ - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარიძ რუსთაველის 2 ტელ: 98-58-21

სამეფო უბნის თეატრი
20:00 - „მახინჯი“ - (ბილეთის ფასი - 7 - 10 ლარიძ გ. აბესაძის ქ. 10 ტელ: 92-38-70, 99-61-71

ილიას უნივერსიტეტის თეატრი
19:00 - „ხარმსი“ -(ბილეთის ფასი - 5 ლარიძ ი. ჭავჭავაძის გამზ. 32. ტელ: 29-47-15

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
19:00 - „აკრძალული თამაშები“ (პრემიერაძ - (ბილეთის ფასი - 10 ლარიძ აღმაშენებლის გამზ. 182 ტელ: 34-80-90

ახმეტელის თეატრი
19:00 - „ჟურში?!..“ - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარიძ ვეკუას ქ. 8 ტელ: 62-59-73, 62-61-97

გაბრიაძის თეატრი
19:00 - „სტალინგრადის ბრძოლა“ (რუსულ ენაზეძ (12 - (ბილეთის ფასი - 5, 8, 10, 15 ლარიძ შავთელის ქ. 13, ტელ: 98-65-90

თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი
12:00 - „ნაცარქექიას ახალი თავგადასავალი“
15:00 - „ვარსკვლავბიჭუნა“ - (ბილეთის ფასი - 5 ლარიძ დ. აღმაშენებლის გამზ. 99/1 ტელ: 95-78-74, 95-39-27.

რას ვუყურებთ შაბათს, კვირას, ორშაბათს

ჭადრაკი

# მოგებაც, წაგებაც



**ყატარის დედაქალაქ დოჰაში მიმდინარე ფიდე-ს გრან-პრის გათამაშების დასკვნითი ეტაპის სტარტზე მოპოვებული ორი გამარჯვების შემდეგ ნანა ძაგნიძე შავებით სენსაციურად დამარცხდა ეკვადორელ მარტა ფიერო ბაკეროსთან და მასთან ერთად 2-2 ქულით მეორე-მესამე ადგილებს ინაწილებს.**

სამაგიეროდ, გაგვახარა მაია ჩიბურდანიძემ, რომელმაც ორი წაგების შემდეგ თეთრებით ჩინელ იუჰუა ქსუს სძლია.

რაც შეეხება სომეხ ერთპიროვნულ ლიდერს ელინა დანიელიანს, მან ამჯერად მონღოლი ბატხუაიგ მუნგუნტუულის გვირგვინოსანი დააშამათა და ქულათა მაქსიმუმს მოუყარა თავი.

**გიორგი შოთაძე**

რაგბი

# დღეს ლისაბონში

**უკვე მერამდენედ გადაიკვეთა ქართველ ბორჯღალოსანთა და პორტუგალიელი ლობუშების გზები, მაგრამ მათ დღევანდელ დუელს მაინც განსაკუთრებული დატვირთვა აქვს.**

წლევანდელი ერთა ლიგის გათამაშების სტარტზე მეტოქეებმა ორ-ორი წარმატება მოიპოვეს, მესამე მატჩის მოგება კი გამარჯვებულს მწვანე შუქს უნთებს საპატიო ტიტულისკენ.

მასპინძელთა ღირსებებზე ის ფაქტი მეტყველებს, რომ რუმინეთი და რუსეთი (თანაც სოჭშიძ დასცეს, თუმცა, მოგეხსენებათ, ჩვენს გუნდსაც საკუთარი კოზირები გააჩნია.

მოკლედ, 19 საათიდან I არხზე გადართეთ ტელევიზორები. დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, მძაფრ ბრძოლას იხილავთ.

**ვიტალი ჯაფარიძე**




64 უჯრა

# საინტერესო პარტიების შემოქმედი



**XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დამდეგის ერთ-ერთმა უძლიერესმა მოჭადრაკემ გარი პილსბერიმ (1872, ბოსტონი – 1906, ფილადელფიაძ ჭადრაკის თამაში 16 წლისამ დაიწყო. იგი საინტერესოდ აშუქებდა საჭადრაკო ცხოვრებას ამერიკულ გაზეთებში.**

ჰასტინგსის ტურნირში (1895ძ ამერიკის სახელით მოასპარეზე პილსბერიმ გაუსწრო იმ დროის ყველა უძლიერეს მოჭადრაკეს და I ადგილი დაიკავა.

„პილსბერი გენიალური მოჭადრაკეა. მის თამაშში ჩაქსოვილია ღრმა იდეები... მისი შემოქმედების საუკეთესო პარტიები აღაფრთოვანებენ არა მარტო თანამედროვეებს“... ამბობდა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი გერმანელი დიდოსტატი ზიგბერტ ტარაში (1862-1934ძ.

საკმარისია აღინიშნოს გამარჯვება მიკრომატჩში მსოფლიო ჩემპიონ ემანუილ ლასკერთან – (3,5:2,5ძ.

ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად, პილსბერიმ ბევრი მოასწრო. იგი ინტენსიურად და ნაყოფიერად მუშაობდა ჭადრაკის თეორიის საკითხებზე, მონაწილეობდა ერთდროული თამაშების სეანსებშიც (1898-1904ძ.

შემოთავაზებულ დიაგრამაზე აღბეჭდილია იმ პარტიის დაბოლოება, რომელიც ერთდროულად თამაშის დროს, უცნობ მოჭადრაკესთან შეხვედრაში შეიქმნა.

პილსბერი 1899



1. ... ლf1+!
2. კg1 – ლf3+!
3. კ:f3 – კf3X

*პილსბერის ლამაზი კომბინაციის თემამ საჭადრაკო კომპოზიტორთა ინტერესი გამოიწვია. მეტოქის მეფის ბლოკირების ანალოგიური იდეის მიხედვით შეიქმნა არაერთი ეტიუდი, რომელიც ჭეშმარიტ ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებს.*

მოამზადა
**თამაზ შენგელიამ**

ფეხბურთი

# მხოლოდ შედეგები



**გაიმართა ევროპის ლიგის გათამაშების საპასუხო მეთექვსმეტედფინალური შეხვედრები. გაუწყებთ მათ შედეგებს:**

**ცსკა** – პაოკი 1:1 (1:0ძ, **„პორტუ“** – „სევილია“ 0:1 (2:1ძ, **„ზენიტი“** – „იანგ ბოიზი“ 3:1 (1:2ძ, **„ლევერკუზენი“** – „მეტალისტი“ 2:0 (4:0ძ, **„ლივერპული“** – „სპარტა“ 1:0 (0:0ძ, **„ეინდჰოვენი“** – „ლილი“ 3:1 (2:2ძ, **„სპარტაკი“** – „ბაზელი“ 1:1 (3:2ძ, „სპორტინგი“ – **„რეინჯერსი“** 2:2 (1:1ძ, **„აიაქსი“** – „ანდერლეხტი“ 2:0 (3:0ძ, **„ბრაგა“** – „ლეხი“ 2:0 (0:1ძ, **„დინამო“** (კიევიძ – „ბეშიქთაში“ 4:0 (4:1ძ, **„ტვენტე“** – „რუბინი“ 2:2 (2:0ძ, **„სიტი“** – „არისი“ 3:0 (0:0ძ, **„პარი სენ-ჟერმენი“** – ბატე 0:0 (2:2ძ, „შტუტგარტი“ – **„ბენფიკა“** 0:2 (1:2ძ, **„ვილიარეალი“** – „ნაპოლი“ 2:1 (0:0ძ.

სანქცია

# დისკვალიფიკაცია ციხეს შეადარა



**ფეხბურთის მოყვარულებს ალბათ კარგად ახსოვთ, რომ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ მატჩში იტალიური „მილანის“ ნახევარმცველმა ჯენარო გატუზომ თავი დაარტყა სახეში ლონდონის „ტოტენჰემის“ მთავარი მწვრთნელის ასისტენტ ჯო ჯორდანს. ის მატჩი „მილანმა“ წააგო 0:1.**

ცნობილი გახდა, რომ ასეთი გამოხდომისთვის გატუზო დისკვალიფიცირებულია ევროკლუბების ოთხი მატჩით, მაგრამ იმის გამო, რომ იტალიელს იქამდე მიღებული ყვითელი ბარათების გამო მაინც უნდა გამოეტოვებინა ერთი მატჩი, საბოლოო ანგარიშში გატუზო ევროთასების ხუთ შეხვედრაში არ მიიღებს მონაწილეობას.

როგორც გატუზომ განაცხადა, ეს დისკვალიფიკაცია მისთვის ერთი თვით ციხეში ჯდომის ტოლფასია. ისიც დასძინა, რომ „ტოტენჰემთან“ საპასუხო პაექრობაზე უნდოდა ლონდონში ჩასვლა, მაგრამ ამას მოერიდება, რადგან ფიქრობს, რომ 37-ათასიან სტადიონზე ის 37 ათას სილაქს მიიღებს. ეს მატჩი კი 9 მარტს უნდა გაიმართოს.

ინტერნეტიდან

## ჰომოსექსუალები ცალკე სექტორს მოითხოვენ

**პოლონელი ჰომოსექსუალები მოითხოვენ, ფეხბურთში 2012 წლის ევროპის ჩემპიონატზე მათთვის ტრიბუნებზე გამოიყოს სპეციალური სექტორები, სადაც ადგილებს დაიკავებენ პოლონეთის ნაკრების მხარდამჭერი გეი-ფანკლუბ „ფერად-ფერადი ტრიბუნას“ წევრები.**

ფან-კლუბის საიტზე გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ამჟამინდელ სიტუაციაში ჰომოსექსუალები ტრიბუნებზე თავს უშიშრად ვერ გრძნობენ, რაც ხელს უშლით ეროვნული გუნდის მხარდაჭერაში.

ისიცაა ნათქვამი, რომ პოლონეთის ნაკრები არსებობს გადასახადების ანგარიშზე, რასაც ჰომოსექსუალებიც იხდიან. იმასაც მიუთითებენ, რომ სექტორებად დაყოფის გარეშე ჰომოსექსუალების უსაფრთხოების დაცვა შეუძლებელია.



## რომანების კოლექციას აგროვებს



**ვენესუელელი მოდელი აიდა იესპიცა განაგრძობს ფეხბურთელებთან სასიყვარულო რომანების კოლექციის შევსებას. ბევრს ახსოვს მისი დამოკიდებულება ფეხბურთელ მატეო ფერარისთან, რომლისგანაც ვაჟიშვილი არონი ჰყავს. შემდეგ აიდას ფლირტი ჰქონდა იუვენტუსელ მომო სისკოსთან. ახლა კი, როგორც ჩანს, მის ქსელში გაება ახალგაზრდა მესუტ იოზილი, მადრიდის „რეალში“ რომ თამაშობს.**

იტალიური პრესა იტყობინება, რომ ისინი მილანის ერთ-ერთ რესტორანში ნახეს. ამაზე დაწერა ცნობილმა იტალიელმა ჟურნალისტმა ჯანლუკა დი მარციომაც.

იოზილი თავის დროზე აპირებდა მოდელ ანა მარია ლეგერბლომზე დაქორწინებას. საყვარლის გამო ქალმა თმის ფერიც შეიცვალა და თავი დაანება ეროტიკულ ფოტოსესიებში მონაწილეობას. ლამაზმანმა თურქული სახელიც მელეკი (ანგელოზიძ დაირქვა და, რაც მთავარია, ისლამი იწამა. თუმცა სულიერად მუსულმანი ვერ გახდა. ასე რომ, ბოლოს ახალგაზრდები გაშორდნენ ერთმანეთს.

იდეა

# სიმულანტები მინდვრიდან გავაძევოთ!

**ისინი ცოტანი როდი არიან სპორტშიც – ყოველდღიურად ათობით ფეხბურთელი იკრუნჩხება მინდორზე, გორაობს გაზონზე ვითომდა დიდი ტკივილის გამო, მეტოქემ რომ მიაყენა, როგორც სპეციალისტებსა და გულშემატკივრებსაც მიაჩნიათ, ეს არც ვაჟკაცობაა და არც ღირსეული საქციელი.**

აი, რა მოხდა ჩილეში. ამ ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელმა ბრაიან კარასკომ თვალნათლივ აჩვენა ასეთი სიმულაციის მაგალითი. ეკვადორელ თანატოლებთან მატჩში მჭიდროდ რომ მეთვალყურეობდნენ, ის მეტოქეს მაჯაში სწვდა და საკუთარ ლოყაზე მაგარი სილაქი გაიწნა. შემდეგ კი მინდორზე დაეცა და ვითომდა აუტანელ ტკივილებს განიცდიდა. სიმულანტმა შეძლო მსაჯის შეცდენა და საჯარიმოს დანიშვნა, რამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია.




შეგახსენებთ, რომ ერთ წელზე მეტი ხნის წინათ ფიფას ვიცე-პრეზიდენტმა ჯეკ უორნერმა, მოითხოვა სიმულაციისთვის ფეხბურთელების დასჯა და მათი თამაშიდან გაძევება 10 წუთით. „ასეთი დასჯის შემოღებით შეიძლება ასეთი მოჩვენებითი დარღვევების აღმოფხვრა, – თქვა უორნერმა ლონდონში ვიზიტის დროს, – ეს ხომ უპატიოსნობაა. ხალხი ფულს იხდის ფეხბურთის მატჩის სანახავად, და არა თეატრალური სანახაობისთვის“.

თუმცა მის წინადადებას ისევ განიხილავენ ექსპერტები.

„ფორმულა-1“

# 100 მილიონი იზარალეს

**სწორედ ასეთი თანხით განსაზღვრეს ის ზარალი, რაც ავტორბოლაში „ფორმულა-1“ მსოფლიო ჩემპიონატის ბაჰრეინის ეტაპის გადადებამ გამოიწვია. ძირითადად ეს შეეხო რბოლის მონაწილე გუნდებს.** ყველაზე მეტად კი „ფერარის“, რომელმაც 11 მილიონი დოლარი დაკარგა, საერთოდ კი მათ ჯიბე დაახლოებით 40 მილიონი დოლარით შეითხელეს. დაზარალდნენ რეკლამის მომცემნიც, სპონსორებიც და სხვები.

როგორც „ფორმულა-1“-ის თავკაცმა ბერნი ეკლსტოუნმა განაცხადა, „მასპინძელი ქვეყნიდან არ მოითხოვენ ზარალის ანაზღაურებას“.



მობილური კავშირგაბმულობა

# „ჯეოსელი“ იწყებს და... რას იზამენ „მაგთი“ და „ბილაინი?“

**უშეღავათო კონკურენცია, სხვა ფირმის კლიენტურის გადმობირება საქონლის ან მომსახურების უფრო დაბალი ფასით, ზოგადად, მომხმარებლისთვის უფრო კომფორტული გარემოს შექმნა — თავისუფალი ბაზრისთვის ჩვეული მოვლენებია. მათი განხორციელება, ცხადია, მხოლოდ იმ პირობითაა შესაძლებელი, თუკი ამა თუ იმ საქონლის ან მომსახურების ბაზარი მონოპოლიზებული არ არის. სამწუხაროდ, საქართველოში**



**ბაზრების მონოპოლიზაცია იმდენად გავრცელებული მოვლენაა, რომ გაცილებით უფრო ადვილია ამ „წესიდან“ გამონაკლისის მოძებნა, ვიდრე მონოპოლიების მიერ „დაპყრობილი“ შიდა ბაზრების ჩამოთვლა. ამ მხრივ შედარებით კონკურენტიანია საქართველოს მობილური სატელეფონო კავშირგაბმულობის ბაზარი, რომელზეც სადღეისოდ „სამი ვეშაპია“ გაბატონებული — ბოლო დროს წინ გაჭრილი „ჯეოსელი“ (45,3 პროცენტით), „მაგთიკომი“ (41,6 პროცენტით) და „ბილაინი“ (13,1 პროცენტით).**

გასული კვირიდან საქართველოს მობილური სატელეფონო კავშირგაბმულობის სფეროში მეტად საგულისხმო სიახლე შემოვიდა. ქვეყანაში მოქმედი სამივე კომპანია — „ჯეოსელიც“, „მაგთიკომიც“ და „ბილაინიც“ ეგრეთ წოდებულ პორტაბელურ სისტემაზე გადავიდნენ. მარტივად თუ ვიტყვით, **ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი კომპანიის აბონენტს საკუთარი მობილური ტელეფონის ნომრის შეუცვლელად შეუძლია მობილური სატელეფონო კავშირგაბმულობის ოპერატორი კომპანიის გამოცვლა. ამისთვის მან არჩეულ ფირმას სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს, რის შემდეგ მისი ტელეფონის ყოველგვარი გათიშვისა და დაყოვნების გარეშე გადაირთვება.**

ბუნებრივია, ეს როგორც ექსპერტთა, ისე თავად კომპანიების აზრით, ბაზრის რაღაც კარდინალურ გადანაწილებას თუ არა, ყოველ შემთხვევაში, გარკვეულ ცვლილებებს გამოიწვევს, რასაც ზოგი ფირმა სრულად მობილიზებული ხვდება, ზოგი კი ჯერ იცდის და სამოქმედო ტაქტიკის შემუშავებას გარკვეული ხნის შემდეგ აპირებს.

კონკრეტულად თუ ვილაპარაკებთ, პორტაბელური სისტემის ამოქმედებას გარკვეული აქციებით ხვდება **„ჯეოსელი“, რომელიც თავის ქსელში სხვა ოპერატორებისგან გადმოსულ აბონენტებს საუბრის ერთ წუთსა და ერთი SMS-ს შეტყობინების გაგზავნას ერთ თეთრად სთავაზობს. გარდა ამისა, გავრცელებული ინფორმაციით, თავის ახალ მომხმარებლებს „ჯეოსელი“ შესთავაზებს ახალ შეღავათსაც. ისინი ხუთი წუთის სასაუბრო დროს 5 ლარად შეიძენენ.** ამით, ბუნებრივია, კომპანიაში ფიქრობენ (ალბათ, არც უსაფუძვლოდ) მრავალი ახალი აბონენტის მიზიდვას.

სიახლის შემოღებას იმედიანად უყურებენ კომპანია „ბილაინშიც“, სადაც დარწმუნებული არიან, რომ ისინი მომხმარებელს მომსახურების საუკეთესო პირობებს სთავაზობენ და, იმის შემდეგ, რაც ასე ვთქვათ, აბონენტს ოპერატორი კომპანიის „ნომერზე მიბმულობის“ პრობლემა მოეხსნება, „ბილაინის“ მომსახურებას „ჯეოსელისა“ და „მაგთიკომის“ მრავალი ახლანდელი კლიენტი ამჯობინებს.

რა იქნება სინამდვილეში, ამას ახლო მომავალიც გვიჩვენებს და ოდნავ შორეულ პერსპექტივაშიც გამოჩნდება — სწორედ ამ პოზიციაზე დარჩენა ამჯობინეს „მაგთიკომში“, სადაც, როგორც ჩანს, ფიჭური სატელეფონო კავშირის ბაზარზე ლიდერის პოზიციების დათმობას, რომელიც მას არაერთი წლის მანძილზე ეკავა, საკმაოდ მტკივნეულად აღიქვამენ. ამიტომ, პორტაბელობის სისტემის გადასვლასთან დაკავშირებით, „მაგთიკომს“ რაიმე ახალი შეთავაზებები მომხმარებელთათვის არ მოუმზადებია. „მაგთიკომში“ ჯერჯერობით ბაზარზე მოვლენათა განვითარებას, მომხმარებელთა მოძრაობის დინამიკას დააკვირდებიან, წარმოშობილ მოთხოვნებს გააანალიზებენ და ახალი აქციების ფორმასა და შინაარსს მერე განსაზღვრავენ. ამასთან, უნდა ვივარაუდოთ, რომ ფიჭური სატელეფონო კავშირის ბაზარზე სადღეისოდ შექმნილ ვითარებაზე პორტაბელობის სისტემის შემოღება დიდად არ იმოქმედებს და ის, რეალურად, დაახლოებით ძველ ჩარჩოებში დარჩება.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ნაწილი ახალი სისტემის შემოღებისგან კავშირგაბმულობის ამ სფეროში კომპანიებს შორის კონკურენციის გამძაფრებას მოელის და ამით, უწინარესად, მომხმარებელმა უნდა მოიგოს, ვინაიდან „მაგთიც“, „ჯეოსელიც“ და „ბილაინიც“ იძულებული იქნებიან სატელეფონო კავშირის ხარისხის გაუმჯობესებასა და დაფარვის ზონის გაფართოებაზე. ასევე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ფასების პოლიტიკის შერბილებაზე მეტი იზრუნონ. იმასაც დავსძენთ, რომ ხარისხის მხრივ, ჩვენი აზრით, სხვებზე მეტად საზრუნავი ამ უკანასკნელს უნდა ჰქონდეს.

ხაზს უსვამენ იმასაც, რომ ბაზარზე ცვლილებები, ფაქტობრივად, უკვე დაწყებულია, რასაც „ჯეოსელის“ მიერ კონკურენტებზე შეტევის წამოწყება მოწმობს. ეს ნიშნავს, რომ „მაგთიც“ და „ბილაინიც“ იძულებული იქნებიან გარკვეული საპასუხო ნაბიჯები გადადგან, რაც კომპანიების მიერ შეთავაზება-მომსახურების პალიტრას უეჭველად გაამდიდრებს, ფასებს კი ქვევით „დაქაჩავს“, რადგან დღევანდელი ინფლაციის პირობებში მომსახურების ეს კომპონენტი, შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს.

**ოთარ ტურაბელიძე**

წიგნი

# ჭეშმარიტად დაუვიწყარნი

**პროფესორი ჯონდო შარიქაძე არა მარტო მათემატიკისა და მექანიკის — ამ დარგების ისტორიისაც ცნობილი მკვლევარია. ბატონ ჯონდოს „პროზაული“ კალამიც მარჯვედ დაუდის, რაც მრავალგზის დაუდასტურებია საგაზეთო თუ საჟურნალო პუბლიკაციებით. ახლახან კი მან 315-გვერდიანი წიგნი „დაუვიწყარი სახელები“ გამოაქვეყნა (გამომცემლობა „ინტელექტი“), რომელშიც ბევრი მკითხველისთვის კარგად ნაცნობი და მართლაც არდასავიწყარი სახელები (მათემატიკოსები, მექანიკოსები, მეცნიერების ისტორიით დაინტერესებულნი და სხვანი) გადაგვიშალა.**

პირველი წერილი „ქართული მათემატიკური სკოლის სათავეებთან“ ფაქტობრივად გამოკვლევაა საქართველოში მათემატიკური მეცნიერების ისტორიის პირველი შთამბეჭდავი პერიოდისა ისეთი ლეგენდარული სახელების თანხლებით, როგორც ანდრია რაზმაძეა, გიორგი ნიკოლაძე, ნიკო მუსხელიშვილი და არჩილ ხარაძე. საგულისხმოა, რომ ჯონდო შარიქაძე ახერხებს „თავისის“ თქმას ამ მთელი „სიგრძე-სიგანით“ ცნობილ დიახაც დაუვიწყარ ოთხეულზე. მეორე ნარკვევში, თუ არ ვცდები, პირველადაა შესწავლილი გასული ასწლეულის საქართველოში უწყვეტ გარემოთა მექანიკაში მეცნიერული კვლევა, „დამატებითი“ საერთაშორისო დაფასება რომ მოუტანა ქართველ სპეციალისტებს.

წიგნში ვხვდებით მრავალი თაობისათვის ახლოს ნაცნობ, არდასავიწყარ სახელებს მასწავლებელთა, ლექტორთა, აღმზრდელთა და, რასაკვირველია, იმავდროულად შესანიშნავ მკვლევართა: ანდრო ბიწაძე, ლევან გოკიელი, ალექსი გორგიძე, დავით დოლიძე, ილია ვეკუა, აპოლონ კალანდია, ვიქტორ კუპრაძე, გიორგი ლომაძე, და-ძმა ნინო და ლევან მაღნარაძეები, მამა-შვილი შალვა და მერაბ მიქელაძეები, ელენე ოზოლაშვილი, იოთამ (ბიბიძ ქარცივაძე, ვლადიმერ ჭელიძე, გურამ ჭილაშვილი, ევგენი ხარაძე (ჩამოთვლილია კრებულის გაყოლებით).

ცალკე გამოვყოფთ ჩინებულ ნარკვევს, მიძღვნილს მსოფლიოში სახელგანთქმულ მეცნიერთადმი — საქართველოს ემიგრირებულ ძმათადმი ივანე ნიკურაძისა (ჰიდრომექანიკოსი) და ალექსანდრე ნიკურაძისადმი (ფიზიკოსი). ასევე საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ დიდი ფრანგი სწავლულის ანრი პუანკარეს შესახებ დაწერილი ნაკვეთი, რომელსაც მარჯვედ გამოეძებნა „განსაზღვრა“ — ზუსტი მეცნიერების ტვინი.

ბატონ ჯონდოს არ დავიწყნია მოსკოველი მასწავლებლები, ორი გამოჩენილი აკადემიკოსი პელაგია პოლუბარინოვა-კოჩინა (საოცრად დედობრივი მზრუნველობით რომ ეპყრობოდა მოწაფეებს) და ალექსანდრე სამარსკი; ისე როგორც არ დავიწყებია თბილისელი ახლობლები, მეგობრები, მასწავლებლები — ავთანდილ აბესაძე, ლია ავალიშვილი, ავთანდილ ბენდუქიძე, ლამარა ვეკუა, ალექსანდრე კარტოზია, ვალერიან მელაძე, რომან მიმინოშვილი, გიორგი შარიქაძე, ვახტანგ ბადაგაძე, ლაზარე ზამბახიძე...




გასაგები სიამაყით ვიგებთ წიგნიდან, რომ აკადემიკოს ანდრო ბიწაძის ერთადერთი ვაჟი ანდრეი ბიწაძე კალგარის (კანადა) უნივერსიტეტის პოლიტოლოგიისა და ისტორიის პროფესორი ყოფილა, ხოლო ფიზიკოს-ექსპერიმენტატორ ნოშრევან თავხელიძისა და მათემატიკოს ლამარა ვეკუას ვაჟები ნიკიფორე (ნიკა) და თედო თავხელიძეები („შეთავსებით“, აკადემიკოს ილია ვეკუას შვილიშვილები) წარმატებით მოღვაწეობენ ჰაიდელბერგში (გერმანია); მეცნიერებათა დოქტორი ნიკა თავხელიძე ფიზიკოსია, მეცნიერებათა დოქტორი თედო თავხელიძე — გეოგრაფოსი.

...კომპიუტერიზებულ და ინტერნეტიზებულ ჩვენს ხანაში წიგნი როგორღაც დაიჩაგრა; ვერც კომპიუტერი და ვერც ინტერნეტი ვერ შეუნახავს მომავალ თაობებს არდასავიწყარ სახელებს ისე, როგორც წიგნი. პროფესორ ჯონდო შარიქაძის საგულისყურო ნაშრომი სწორედ რომ ამგვარი „შემნახველი სალაროა“.

**თამაზ ებანოიძე**

ინფორმაცია



## საბავშვო ბაღებში გადასახადი იზრდება

„ქრისტიან-დემოკრატების“ ინფორმაციით, 1 მარტიდან ბათუმის საბავშვო ბაღებში გადასახადი 10 ლარით იზრდება.

ბათუმში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები უკვე ფასიანია და მისი გადასახადი 25 ლარს შეადგენს.

ბათუმის საკრებულოს ფრაქცია „ბათუმის“ თავმჯდომარემ, „ქრისტიან-დემოკრატმა“ ნაზი ქობულაძემ ამ თემაზე ბრიფინგი გამართა.

ქობულაძემ თვითმმართველობისგან კატეგორიულად მოითხოვა საფასურის ზრდის შეჩერება, რადგან მძიმე სოციალური ფონის გამო მოსახლეობას დაწესებული 25 ლარის გადახდაც უჭირს.

მისივე თქმით, ცალკე პრობლემაა ის, რომ საბავშვო ბაღების გაერთიანების შედეგად, სკოლამდელ დაწესებულებებში კადრების შემცირება დაიწყო, რასაც თანხის დაზოგვა უნდა გამოეწვია. ამასთან, მიმდინარე წლის ბიუჯეტში საბავშვო ბაღების დაფინანსება გაიზარდა, თუმცა ამას მშობლებისთვის შეღავათი არ მოუტანია.

## ლაგოდეხის ნაკრძალები კავკასიის ბუნების ფონდმა დააფინანსა

ლაგოდეხის ნაკრძალი 270 ათასი ევროთი დაფინანსდა. დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინფორმაციით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა გიორგი ხაჩიძემ, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი შონვაძემ და კავკასიის ბუნების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა დევიდ მორისონმა საგრანტო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი.

შეთანხმების მიხედვით, ლაგოდეხის ნაკრძალის მხარდასაჭერად, კავკასიის ბუნების ფონდი 2011-2013 წლებისთვის 270 ათასი ევროს დაფინანსებას გამოყოფს, რომელიც ნაკრძალის მოვლას და მიმდინარე ხარჯების დაფარვას მოხმარდება. დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინფორმაციით, გრანტი მოიცავს „პროკრედიტ ბანკის“ 20 ათასი აშშ დოლარის თანადაფინანსებას.

ჯი-ეიჩ-ენი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1964 წლის ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები გოგი ციციშვილი, ალეკო ასლანიშვილი, თენგიზ ტრაპაიძე, გურამ მირცხულავა, ნანა მშვილდაძე, გივი ღამბაშიძე, გურამ ჩხაიძე, ჯემალ შარაშენიძე, ლამარა მამარდაშვილი, ომარ გოგიაშვილი, ნიკო ჯადუგიშვილი, კარლო კალანდაძე, თამილა ცაგარეიშვილი, მედიკო ჩუბინიძე, აზა კალოევა, ლალი ქორქოლიანი, ცისანა მენაბდე, იზოლდა ჭიჭინაძე, ანზორ სიხარულიძე მწუხარებით თანაუგრძნობენ მეგობარს გიგო სვანიძეს მეუღლის — სათნო, გულითადი ქალბატონის, ოჯახის კეთილი ანგელოზის

ნანა პავლოვა-სვანიძის

გარდაცვალების გამო.

## განცხადება

ქ. თბილისის №30 საჯარო სკოლა აცხადებს კონკურსს უზუფრუქტის ხელშეკრულებით გაფორმებული სკოლის შენობის ნახევარსარდაფის 240 კვ.მ. და სპორტული დარბაზის 273 კვ.მ. ფართის იჯარით გაცემაზე.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: ქ. თბილისი, კიევის ქ. №4, ტ. 95-23-80.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## საპატრიარქოს ნათლულები



# საყოველთაო ნათლობისთვის ჩვილთა რეგისტრაცია დაიწყო

**საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ საქველმოქმედო ფონდ „ლაზარეში“ მორიგი საყოველთაო ნათლობისთვის ჩვილთა რეგისტრაცია იწყება. ფონდის ინფორმაციით, რეგისტრაცია 25, 26 და 27 თებერვალს, 12-დან 16 საათამდე იწარმოებს.**

მსურველებმა უნდა წარადგინონ ჯვრისწერის, ქორწინებისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობების ასლები. ასევე, შვილების დაბადებისა და ნათლობის მოწმობები. მოსანათლი ბავშვის ორი საპასპორტო ფოტოსურათი და ასევე დისკზე ჩაწერილი ერთი ფოტოსურათი. აგრეთვე, თან უნდა იქონიონ საოჯახო ფოტოსურათი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ნათლულები ჯვარდაწერილი ოჯახების მესამე და მისი მომდევნო შვილები გახდებიან.

ცნობისთვის, ამ დროისთვის პატრიარქის ნათლული 7 700 ბავშვია. პირველი საჯარო ნათლობა წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში, 2008 წლის 19 იანვარს გაიმართა.

ჩვილთა მე-16 საჯარო ნათლობა 3 მარტს, წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში გაიმართება.

ჯი-ეიჩ-ენი

## სარედაქციო ფოსტა. ინტერნეტიდან

# ლესიას საიუბილეოდ

**როგორც მკითხველმა უკვე ნახა, ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მთელი გვერდი დაეთმო გამოჩენილი უკრაინელი პოეტი ქალის, თავისი ტრაგიკული ბედით საქართველოსთან დაკავშირებული ლესია უკრაინკას დიდებული პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს, რომელთა ქართული თარგმანი კიევიდან მოგვაწოდა უკრაინაში მცხოვრებმა ასევე ჩინებულმა პოეტმა, საზოგადო მოღვაწემ და დიპლომატმა რაულ ჩილაჩავამ.**

**ეს წერილიც ბატონი რაულისგან გუშინვე მიიღო რედაქციამ.**



ძვირფასო მეგობრებო!

უღრმესი მადლობა პუბლიკაციისთვის.

ვფიქრობ, ქართულ პრესაში თქვენ ხართ პირველები (თუ არა ერთადერთები), ვინც ლესიას იუბილე თარგმანებით აღნიშნა.

უკრაინელები ჩვენ დიდ პატივს გვცემენ და ასეთი მეგობრული ჟესტები მათ შეუმჩნეველი არ რჩებათ. მით უფრო, რომ ყოველივე ამას თვალს ადევნებს და აღნუსხავს საელჩო.

მივაქციე ყურადღება, რომ ქუდად მრავლისმეტყველი სტრიქონები შეგირჩევიათ. გამგები გაიგებს!

სულ წარმატებებს და წინსვლას ვუსურვებ „საქართველოს რესპუბლიკას“ (ბრჭყალებშიც და უბრჭყალოდაც).

თქვენი ძმა —
რაულ ჩილაჩავა
ქ. კიევი, 25.II.2011 წ.

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

- „საპატიო წითელარმიელის“ წოდება რუსეთში სამოქალაქო ომის დროს შემოიღეს. პირველ „საპატიო წითელარმიელად“ 1919 წლის 19 ოქტომბერს დასავლეთის ფრონტის საგანგებო დანიშნულების წითელ კომუნართა პოლკის გაერთიანებულ კრებაზე აირჩიეს ვლადიმერ ლენინი.
- ვატერლოოს ბრძოლის შემდეგ ბევრმა ინგლისელმა ოფიცერმა ალაფად ჩაიტანა სამშობლოში ჩასადგმელი კბილები, რომლებსაც დანტისტები მათგან ოც გირვანქა სტერლინგად ყიდულობდნენ.
- დიდი ფილოსოფოსი სოკრატე ხელისუფლებამ სიკვდილით დასაჯა.
- ჯორჯ ბუშის ძმა ჯეფ ბუში აშშ-ის ფლორიდის შტატის გუბერნატორია.
- საფრანგეთის მეფე ანრი IV-მ ექვსჯერ შეიცვალა სარწმუნოება.
- სან-სებასტიანის კინოფესტივალზე გამარჯვებულებს ოქროს ნიჟარით აჯილდოებენ.
- ძველი ქალაქი-სახელმწიფო კართაგენი აფრიკის კონტინენტზე მდებარეობდა.
- გალინა ბრეჟნევას (ლეონიდ ბრეჟნევის ქალიშვილი) ხალხი „საბჭოთა კავშირის პირველ ქვედაკაბას“ ეძახდა. ახალგაზრდობაში იგი ცნობილ ილუზიონისტ იგორ კიოს გაჰყვა ცოლად, მაგრამ მათი ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ამ ქალს ყველაფერი ჰქონდა ცხოვრებაში, გარდა ბედნიერებისა. მან 1998 წელს ფსიქიატრიულ კლინიკაში დაასრულა სიცოცხლე.
- ცათამბჯენების რაოდენობით ჰონკონგი პირველია, აქ 7620 ცათამბჯენია.
- ვატიკანში პაპის რეზიდენციას, ტრადიციულად, შვეიცარიელთა გვარდია იცავს.

## ინფორმაცია

### ქარცვა და სექსუალური ძალადობა ბრალდებათ

ესპანური მედიის ინფორმაციით, ამჯერად დაკავებულებს ძარცვა და სექსუალური ძალადობა ბრალდებათ.

საქართველოს 6 მოქალაქის აყვანა რამდენიმე დღის წინათ, სპეცოპერაციის შედეგად მოხდა.

არსებული ცნობით, მათი უკანონო საქმიანობის შესახებ



ესპანურმა სამართალდამცავმა ორგანოებმა გამოძიება გასული წლის სექტემბერში დაიწყეს.

ჯი-ეიჩ-ენი

### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | 0 — +4 |
| ქუთაისი. | +3 — +4 |
| ბათუმი. | +2 — +5 |
| ზუგდიდი. | -1 — +4 |
| თელავი. | 0 — +6 |

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7642 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3923 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8594 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.0469 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77;
899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

— მამი, დამესიზმრა, თითქოს ხუთი ათასი დოლარი მაჩუქე! — მამის „შეკერვას“ აპირებს მიხო.

— შეგიძლია, დაიტოვო, შვილო.

* * *

— ბედნიერი ხარ? — ეკითხება ქალი კაცს ინტიმის შემდეგ.

— უსაზღვროდ ბედნიერი ვარ. შენ?

— ტესტი გვიჩვენებს.

* * *

— ნამდვილი ბრმა და ყრუ ვიყავი, შენ რომ გამოგყევი! — აყვედრის ცოლი ქმარს.

— აი, ხომ ხედავ რამდენი ავადმყოფობისგან განგკურნე!



— გოგონი, მომეცით შანსი, რომ მოგხიბლოთ!

— სარკეში არ ჩაგიხედავთ? როგორ შეიძლება, თქვენნაირმა ვინმე მოხიბლოს? ამიტომაც, მომიწევს მოგცეთ ყოველგვარი შანსის გარეშე.

* * *

ეს ჯერ კიდევ იმ დროს ხდებოდა, როდესაც შედედებული რძე რძისგან მზადდებოდა, რძეს კი ძროხისგან ღებულობდნენ...

* * *

— ექიმო, აწი რა მელის? ოპერაცია? ამპუტაცია?

— ავადმყოფო, ახლა არაფერს არ გეტყვით, თორემ მერე თქვენთვის უინტერესო იქნება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.